645
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1968 წ.

# აქ ეთაყვანებიან ლენინს



1936 წლის 15 მაისი ღირსშესანიშნავი თარიღია ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის, მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ამ დღეს ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქ მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი. მას კვალდაკვალ მოჰყვა მისი ფილიალების გახსნა თბილისში, ლენინგრადში, კიევში, ულიანოვსკში, ბაქოსა და ლვოვში. საკუთრივ თბილისის ფილიალი ერთერთი პირველთაგანია. მას წელს 30 წელი უსრულდება.

ხალხმა უზომოდ შეიყვარა თავისი ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის იდეოლოგიური, პარტიული დაწესებულებები. აგერ სამ ათეულ წელზე მეტია უწყვეტ ნაკადად მოდინებიან ხალხთა ფართო მასები, რათა იხილონ და შეისწავლონ ფასდაუდებელი რელიქვიები, რომლებსაც უშუალო კავშირი და დამოკიდებულება აქვთ ვ. ი. ლენინთან და ასახავენ მის მაღალშინაარსიან ცხოვრებას და მოღვაწეობას. მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი ათასობით ექსპონატი და მასა-

ლები თანმიმდევრულად და ყოველმხ[...] აცნობენ მნახველს ვ. ი. ლენინის ბიოგ[რა]ფიას, უჩვენებენ იმას, თუ როგორი იყ[ო] უდიდესი თეორეტიკოსი, რევოლუცი[ონერი,] მარქსისტული პარტიის შემქმნელი, დ[იდი] ოქტომბრის სოციალისტური რევოლუც[იის] სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლი[ოში] პირველი სოციალისტური სახელმწი[ფოს] ფუძემდებელი და ხელმძღვანელი.

სიმბოლურად ისეთი სურათი იქმნ[ება,] თითქოს ხალხი — მუშა და გლეხი, მეც[ნიე]რი და მოსწავლე, ჩვენი მეურნეობისა [და] კულტურის ყოველი მუშაკი, ვისაც ჩ[ვენი] პარტიის გმირული ისტორიის შესწა[ვლა] უნდა, მოდის აქ, რათა ეთაყვანოს ბრ[ძენ] მასწავლებელს. მეცნიერების დიდ კორი[ფეს] ვ. ი. ლენინს მისთვის საინტერესო საკით[ხე]ზე და რასაც უეჭველად მიიღებს კიდეც [...] მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლით, [...] დიდ ბელადს დაუტოვებია.

ამიტომაც უწოდებს ხალხი სიყვარულ[ით] ლენინის მუზეუმს მილიონების უნივერ[სი]ტეტს, ლენინური აზრის საგანძურს, წმ[ინდა] ადგილს, მარქსისტულ-ლენინური აზ[როვნების] ლაბორატორიას.



ხალხი ლენინს ცოცხლად მიიჩნევს. იგი ამბობს: ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებსო და ეს ასეც არის. იგი ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან, მაგრამ მისი მოძღვრება ნიადაგ გვინათებს ცხოვრებისა და შრომის გზას. ლენინის მუზეუმში ეკრანიდან გვიცქერის ცოცხალი ლენინი, იგი გველაპარაკება, გვესმის მისი ხმა, გვატყვევებს მისი სიტყვის ჯადო. მუზეუმის ლექტორები ესაუბრებიან დამთვალიერებლებს მათთვის საინტერესო ყოველ საკითხზე, შეეხება იგი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თუ მის მიერ შექმნილი პარტიის ისტორიას, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, რომელიც გნებავთ, პრობლემას, კომუნისტური მშენებლობის საკითხებს. ახალგაზრდობის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს შეხვედრები პარტიის ძველ წევრებთან, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეებთან, შრომის ვეტერანებთან, რაც აქ სისტემატურად ეწყობა.

ძნელია, მღელვარების გარეშე იხილო მოსწავლეთა მიღება პიონერულ ორგანიზაციაში, აგრეთვე კომკავშირული და პარტიული ბილეთების გადაცემა, რაც შესანიშნავ ტრადიციად დამკვიდრდა ლენინის მუზეუმში. ამ საზეიმო აქტს, როგორც წესი, პარტიის ვეტერანები ესწრებიან და ახალგაზრდა კომუნისტებსა და კომკავშირელებს ცხოვრების გზაზე გამოსვლას ულოცავენ.

დიახ, მარქსისტულ-ლენინური აზრის საგანძურია ვ. ი. ლენინის მუზეუმი. ყოველ ნაბიჯზე აქ ახალი გზა გეხსნება, ყოველი სიტყვა, რომელიც კი ლენინს დაუწერია, მთელი ეპოქაა, ყოველი დოკუმენტი, რომელიც აქ გხვდებათ, ლენინური რელიქვიაა.

მუშათა კლასისათვის, ყოველი საბჭოთა მშრომელისათვის, საერთაშორისო პროლეტარიატისათვის ლენინის მუზეუმი უეჭველად ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი კერაა, ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა, და ის, ვინც გონივრულად და მოხერხებულად იყენებს მას თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, შესამჩნევ შედეგსაც აღწევს. ლენინის მუზეუმის დარბაზებში ფანქრით ხელში შეხვდებით ჩაფიქრებულ ახალგაზრდას თუ ხანშიშესულს, რომელიც ჩამკირკიტებს ლენინურ დოკუმენტს და იწერს უბის წიგნაკში ბელადის ბრძნულ აზრებს.





ლენინის მუზეუმის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცენტრალური მუზეუმი, დღიდან მისი გახსნისა, 80 მილიონზე მეტმა კაცმა ინახულა, კერძოდ, თბილისის ფილიალი — 2 მილიონზე მეტმა კაცმა. განსაკუთრებით იმატა ხალხის ნაკადმა უკანასკნელ წლებში, რასაც უთუოდ ხელი შეუწყო პარტიის მიერ ჩვენში არსებული სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დაგმობამ და ჩვენს პარტიულ ისტორიოგრაფიაში დაშვებულ დამახინჯებათა გამოსწორებამ. მარტო გასულ წელს ცენტრალურ მუზეუმს ორ მილიონამდე მნახველი ეწვია, თბილისის ფილიალს — 140 ათასი (1961-68 წლებში მათი რიცხვი 70-80 ათასი იყო).

ღირსშესანიშნავი მოვლენა თბილისის ფილიალის ცხოვრებაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ის იყო, რომ იქ გამოფენილ ექსპონატებს შარშან შეემატა ლენინის იმ პალტოსა და ფიჯაკის ზუსტი ასლები, რომლებშიაც იგი დასჭრა ესერმა ქალმა კაპლანმა. წელს ლენინის დაბადების დღეს, 22 აპრილს გავხსენით ლენინის კრემლის სამუშაო კაბინეტის ასლი, რომელიც სრულ წარმოდგენას იძლევა იმ გარემოებასა და ვითარებაზე, რომელშიაც მუშაობდა ეს უდიდესი თეორეტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე ჩატარებული რეექსპოზიციის შემდეგ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა თბილისის ფილიალის ის დარბაზები, რომლებშიც წარმოდგენილი ექსპონატები ასახავენ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას, გადმოსცემენ, თუ როგორ მიჰყავს წინ ჩვენი ქვეყანა ლენინის პარტიას ულენინოდ, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ახლა, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ცენტრალური მუზეუმისა და მისი ფილიალების კოლექტივების წინაშე დგას მეტად სერიოზული, პასუხსაგები ამოცანა. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ღირსეულად შევეგებოთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. საკუთრივ თბილისის ფილიალში გაფართოვდება პირველი და მესამე სართულების დარბაზები. ექსპოზიციები გამდიდრდება ახალი დოკუმენტებით. მოეწყობა მხატვრული „ლენინიანა“ და სხვა.

ზემდგომი პარტიული ორგანოების დახმარებით თბილისის ფილიალი შესძლებს ღირსეულად შეხვდეს უკვდავი ბელადის დაბადების ასი წლისთავს.

ა. კელენჯერიძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლითონის ქრონიკა

აქ მთელი ქალაქია და თუ კარგად არ იცნობ, გზის გაგნება გაგიჭირდება.

გუგუნებენ მაღალი შენობები. ეზოში მიმოდიან ვაგონები და შენობებში უჩინარდებიან.

რკინიგზის ლიანდაგს მივუყვები. თვალწინ მიდგება ის დღეები, რომელთაც ასე მღელვარებით იხსენებდა წელან ქარხნის ერთ-ერთი ვეტერანი, საქარხნო კომიტეტთან არსებული ქალთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან გველესიანი.

1933 წლის 30 ოქტომბერი... 13 საათი და 37 წუთი... სანუკვარი გამხდარა ეს დრო და ეს საათი თითოეული ქართველი მეტალურგისათვის, მდნობელისათვის...

მნახველებს ვერ იტევდა ერთადერთი საამქრო. მოსულიყვნენ განაწყენებული გლეხებიც კი, სულ ცოტა ხნის წინ ორჭოფულად რომ შეჰყურებდნენ ქარხნის მშენებლობას და ჯერ კიდევ ვერ მიეტევებინათ „იმ ტყისა და ჭალის აჭრა“ ახალგაზრდობისათვის, მოსულიყვნენ გაკაფული ვენახების პატრონებიც.

იმ დღეს დაიბადა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. იმ დღეს გამოუშვეს პირველად საქართველოში ფერომანგანუმი.

მაგონდება ქარხნის უხუცესთა ნაამბობი, თუ როგორ გამოდიოდნენ მწყობრიდან ელექტროღუმელები. გერმანელებს სწორად არ დაეპროექტებინათ ისინი. დეფექტების გამოსწორებასა და ტექნოლოგიის ათვისებას მთელი ერთი წელი მოანდომეს საბჭოთა სპეციალისტებმა.

თბილისში, დიდუბის საცდელ ფერომანგანუმის ქარხანაში იძენდნენ საჭირო ცოდნას მომავალი მეტალურგები. გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით იწრთობოდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი: ივანე კეკელიძე, ვლადიმერ მელაძე, პეტრე ჯაფარიძე, ირ. ლორთქიფანიძე, ელ. ნადირაძე, შალვა ფხაკაძე, თამარ ახობაძე, ალექსანდრე ხვიჩია, სწორედ ისინი, რომლებიც შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ჩაუდგნენ სათავეში.

თავდაპირველად ერთადერთი სახის პროდუქციას უშვებდნენ... დღეისათვის კი 28 სხვადასხვა სახის შენადნობის ტექნოლოგიაა ათვისებული. ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე 2.300 რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა და 34 მილიონი მანეთის ეკონომია მიიღო ქარხანამ.

ჯერ მარტო გასულ წელს ასთოთხმეტი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით დაიზოგა 1 მილიონ 21 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ოცდაერთი ასეთი წინადადების გატარებით ეკონომიამ 117.600 მანეთი შეადგინა.

...ქეთევანი შავგვრემან მამაკაცს ესალმება. იგი მექანიკური საამქროს უფროსი გიორგი ცერცვაძეა.

მექანიკურ საამქროში საამქროთა მოწყობილობის შეკეთება მიმდინარეობს, აქ ამზადებენ სათადარიგო ნაწილებს — საკონტაქტო ქვებს, მოკლე ქსელისათვის საჭირო ინვენტარს, ელექტროღუმელებისათვის გარცმებს, საექსპორტო ლითონის ტარას.

...დატვირთულ ვაგონებს მოაქვთ ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცი, ტარასოვკის კვარციტი, დონბასის კოქსიტი, აჯამეთის კაჟი, სადახლოს კირქვაა აზერბაიჯანის რკინა... ყველაფერი ეს საკაზმე, ეზოში გროვდება. აქედან იწყება მათი სადნობად მომზადება. დახრილ ტრანსპორტიორს ზევით მიაქვს კაზმი, მას ჰორიზონტალური ტრანსპორტიორი ენაცვლება და ღუმელის ბუნკერებში იყრება კოქსი, მარგანეცი, კაჟი.

მადოზირებელი მონორელსური ურიკები მხოლოდ და მხოლოდ საჭირო რაოდენობით გზავნის მათ ღუმელებისაკენ.

პირველ სადნობ საამქროში ვართ. აქ ადრე ორად-ორი ღუმელი იდგა და ისინიც წესიერად ვერ გაემართათ უცხოელ სპეციალისტებს.

— ამ საამქროში მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ზურაბ ბუცხრიკიძე, — მეუბნება ქეთევანი და ზევით მივუყვებით რკინის საფეხურებს.

საქმეში გართული მეტალურგები ვერ გვამჩნევენ.

ელექტროღუმელებს თანაბრად აწვდის კაზმს სპეციალური მექანიზმი. ირთვება ღუმელებში ღრმად ჩამჯდარი ელექტროდები და გულმოსული გუგუნებენ ღუმელები.

რვა ათას გრადუსს აღწევს ტემპერატურა—

საპულტე განყოფილებებში ყურადღებით ადევნებენ თვალს თითოეულ ღუმელში მიმდინარე პროცესებს. პულტის მმართველები არეგულირებენ ელექტროენერგიის მიწოდებას ღუმელებისათვის, ზუსტად იცავენ ელექტრორეჟიმს.

მარგარიტა კიკნაველიძე, დოდო ყიფიანი, ნინო პირველაშვილი ელექტროხელსაწყოთა ჩვენებას აღნიშნავენ ფურცლებში.

29 სალუმელე ბრიგადაა პირველ საამქროში, მათ შორის 17 კომუნისტური შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგადის სახელს ატარებს. მდნობელებთან ვჩერდები.

მეცნაურება გრიგოლ ნანიტაშვილი და ზურაბ ბუცხრიკიძე. საპატიო დაფაზე მათი სურათებია გამოკრული. მხოლოდ ახლა უფრო დაფიქრებული სახეები აქვთ.

აქ ერთმანეთს ჰგავს ყველა. დაძაბული, დაძარღვული სახეები, დანაკვთული სხეული, ღუმელივით ანთებული თვალები... ნამდვილად არის რაღაც საერთო ამ ადამიანებსა და მათ მიერ გამოდნობილ ლითონს შორის. და ეს „რაღაც“ ფოლადისებური სიმტკიცეა...

საამქროს უფროსი ნოდარ ჯაფარიძე ქარხნის ვეტერანს, უფროს მდნობელს, კომუნისტ ვასილ ხუჯაძეს გვაცნობს. ვასილი პენსიაზეა გასული, მაგრამ ყოველდღე ღუმელის წინ ტრიალებს.

გავარვარებული ალი „ლოკავს“ მკვიდრად ამოგებულ კედლებს. ღუმელი კვლავ გულმოსული გუგუნებს. ორი საათი იწურება უკვე...

—სილიკომანგანუმს ორ წუთში გამოვუშვებთ, — ამბობს ზურაბი და რკინის საფეხუცხლის მაღაროებსაც ამუშავებდნენ, — ამბობს სტრაბონი.

და დღესაც ისმის ქება ქართველთა... ღუმელების რიტმულ გუგუნში ღაღადებს გარდასულ დღეთა მატიანე.

ალბათ ასეთივე დაძარღული, შავგვრემანი, გამოწრთობილი სახეები ჰქონდათ ძველად ლითონის მდნობელ ხალიბებს და ისინი, უსათუოდ, ბუცხრიკიძეები და ნანიტაშვილები, მელქაძეები და კობახიძეები, გურჯიძეები და ხუჯაძეები, გაჩეჩილაძეები, კახნიაშვილები და ფერაძეები იქნებოდნენ...

მეორე სადნობ საამქროში საჩამომსხმელო მანქანას წრიული მოძრაობით გადმოაქვს ლითონი.

ახლა მას ნაკლები სიჩქარე უნდა ჰქონდეს, რომ ლითონმა გაციება მოასწროს, თორემ გავარვარებული ლითონი თავისით ვერ დატოვებს „ჯამებს“.

კირის ხსნარს ასხურებენ „ჯამებს“ და ლითონი ადამიანის დაუხმარებლად იყრება ქვაბებში.

ამქროს უფროსობა ანგი ბოჭორიშვილმა ჩაიბარა.

მესამე საამქროში უჩვეულო სიჩუმეა. ელექტროლიზით მეტალურ მანგანუმს იღებენ. თვალს ძლივს ვაწვდენთ აბაზანების რიგს. უბნის უფროსი მერი გაჩეჩილაძე შორიდანვე გვამჩნევს და გვიახლოვდება.

ვინილპლასტის თითოეულ აბაზანაში ჩაწყობილია კათოდები — უჟანგავი ფოლადის ფირფიტები. მას მანგანუმის სულფატის წყალხსნარით ავსებენ და დენს უშვებენ.

ხსნარი დუღს და ბუშტებით იფარება კათოდები, ქაფს იგდებს.

ოცდაოთხი საათის მანძილზე მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად გამოიყოფა კათოდზე მანგანუმი...

ელექტროლიზური მანგანუმის წარმოებაში ადრე ანოდად ტყვია-ანთიმონიას შენადნობს ხმარობდნენ, რის გამოც ექვს თვეში გამოდიოდა მწყობრიდან იგი, იხარჯებოდა ტყვია და მანგანუმი. ახლა ანოდად ტყვია-ვერცხლის შენადნობს იყენებენ, რითაც ოთხჯერ გაიზარდა მისი გამძლეობა, შემ-



ჩამომსხმელი რომან ლოლუაშვილი

რებს ქვევით, პირველი სართულისაკენ მივუყვებით.

— ხვრელს ამ წუთში გავხსნით...

ელვის სისწრაფით ეშვება ვეება ციცხვში გამდნარი ლითონის მდინარე. ირგვლივ იბნევა სილიკომანგანუმის ნაპერწკლები...

ამავე საამქროში ფერომანგანუმის ხუთი ღუმელის მდნობელებიც გზას აძლევენ გადმომსკდარ მდინარეებს.

...ხალიბთა უმეტესი ნაწილი რკინის მადნის დამუშავებით ირჩენდა თავს, — გადმოგვცემს ქსენოფონტე —წინათ ხალიბები ვერ-

ლუდმილა ბატიევა და ნადეჟდა ალექსეიჩუკი ლითონის დოლებში აწყობენ მზა პროდუქციას — საშუალონახშირბადიან ფერომანგანუმს.

— კარგი ახალგაზრდობა გვყავს, — შენიშნავს საამქროს უფროსი, ელექტროტექნიკოსი ვახტანგ ფანჯიკიძე, შემდეგ მერი ჭუბაბრიას, შურა პირველაშვილსა და ნინო ხეცაძეს აქებს.

ამ საამქროში ყოველთვის გამრჯე, შრომისმოყვარე ქალები შრომობდნენ. ლეონინა ქათამაძე საამქროს სიამაყე იყო. მისგან საცირდა ტყვიისა და მანგანუმის დანახარჯი. ნაკლები გროვდება შლამიც — მანგანუმის ორგანგი.

270 ათასი მანეთი დაიზოგა წლიურად ამ სიახლის დანერგვით..

რამდენიმე წლის წინ აღიჭურვა მეოთხე საამქრო დახურული ტიპის ღუმელებით. რომლებიც გამავალი გაზების დაგროვების საშუალებას იძლევიან. ნახშირბადიანი ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის დნობის შედეგად დახურული ღუმელებიდან ამომავალი გაზები კი ქიმიური მრეწველო-

ბის განვითარებისათვის ნედლეულის მძლავრ წყაროს წარმოადგენს.

რვა ასეთი ღუმელი დაიდგა სამქროში და გასული წლის გეგმა 106,4 პროცენტით შეასრულა ქარხანამ.

ზესტაფონის ლითონი ჩვენი ქვეყნის 190-მდე საწარმოში იგზავნება მაღალხარისხოვანი ფოლადისა და თუჯის მისაღებად. ქარხანა ძირითადად ოთხი სახის პროდუქციას უშვებს — მაღალნახშირბადიან ფერომანგანუმსა და სილიკომანგანუმს, საშუალო ნახშირბადიან ფერომანგანუმსა და ელექტროლიზურ მანგანუმს.

ზესტაფონურმა ფეროშენადნობებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც — ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, კუბაში, გერმანიის დემოკრა-

ქარხანაში ორმოცდათხუთმეტი კომუნისტური შრომის ბრიგადა და ხუთასთვრამეტი კომუნისტური შრომის დამკვრელი შრომობს. ქართველ ფერომდნობელებს სახელი გაუთქვეს სოციალისტური შრომის გმირებმა ბაგრატ მელქაძემ, კონსტანტინე მდივანმა, თამარ ტყემალაძემ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ბრიგადირმა ლევან გაჩეჩილაძემ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზურაბ ბუცხრიკიძემ. აქ იღწვის საქალაქო და რაიონული საბჭოს 18 დეპუტატი, მათ შორის 11 ქალი.

დიდი ყურადღება ექცევა ქარხანაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, წარმოების კულტურის, საწარმოო ესთეტიკის, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლების, ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვის საკითხებს. შრომის მეცნიერული ორგანიზა-



ტიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, ინგლისში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთში, სულ საზღვარგარეთის ოცდაორ ქვეყანაში...

სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ზესტაფონელი და ზაპოროჟელი ფერომდნობელები. ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის ვალდებულება აიღეს — გეგმის ზევით გამოუშვან 8 ათასი ტონა პროდუქცია.

ციის ფართოდ დანერგვით გასულ წელს ქარხანამ 689 ათასი მანეთი დაზოგა.

...ცის თაღისთვის მიუბჯენიათ თავი ქარხნის გოლიათებს.

დგანან და ერთს არ ამოისუნთქავენ, არ შეყოვნდებიან.

დგანან და აბოლებენ.

**ნათელა ქიმერიძე,**
ზესტაფონი.

# ახალი ლექსები

**რუთა ბეროძე**

## მივდივარ ჩემთვის

მივდივარ, ჩრდილი დამყვება გვერდზე
შენი გამჭრალი სიმაღლის ქარგად...
მივდივარ ჩემთვის,
არაფერს ვეძებ
და არც არაფერს უბრალოდ ვკარგავ.
იმედიანად შევყურებ იმედს —
შეტორტმანებულ სულის ყავარჯენს.
და თუ ლაჟვარდზე მზე გაიღიმებს,
მეც მწვდება სხივი გულის ყავარზე.
და ისე მხიბლავს ჩემი მთა-ბარის
აბიბინება, აფოფინება,
ზოგჯერ მგონია— სული მთავარი
ვერ მოითმენს და ამოფრინდება.
ალბათ ნედლია კიდევ ის ფესვი,
აღტაცების რომ მაწოდებს შარბათს...
მე ამ ფესვიდან სიმწარეც შევსვი,
გულისტკივილიც მივიღე ქარბად,
მაგრამ არ მახსოვს აღარაფერი,
რაც იყო მსგავსი შურის და ღვარძლის.
მივდივარ ჩემთვის და წინ გავცქერი
ჩემთვის მოზომილ უხილავ მანძილს.

**ლილი ნუცუბიძე**

წინანდალში, ჭავჭავაძეთა მამულში, დგას ეკატერინეს საყვარელი ხე, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ თურმე რამდენჯერმე დაეცა მეხი.

* * *

შეიმოსება მწვანე ფარჩებით
ეკატერინეს სიტურფის დარი
და სილამაზეს აფრქვევს გარშემო
ყელმოღერილად ტოლებში მდგარი.

ახსოვს კატინას მკლავების სითბო,
ბევრჯერ მოჰგვარეს ყრუოლვა თითებმა,
ზეცის სარკეში კეკლუცობს თითქოს,
მზეს შეჰხარის და მზითვე ირთვება.

დაესიზმრება ცას მგოსნის ბედი,
ამოიკვნესებს ვარსკვლავი მწარედ,
ხეს მეხმა გრგვინვით გაუპო მკერდი,
შემოამსხვრია ტოტები მწვანე.

ვით პირგახსნილი ტრფობის იარა
გულზე ნაღველი შემომესია,
და ვფიქრობ, ალბათ, მეხი კი არა
ბარათაშვილის გულის ცეცხლია.

ტოტებს ჩამობანს ცრემლების თქეშით
განმარტოებით გამდგარი ტატო,
ყოველ გაზაფხულს ვარდობის თვეში
ელვის მკლავებით ეხვევა სატრფოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური კაზაკოვი

# გზაში

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

ეს ზამთარიც ობლისა იყო. ისევე როგორც ყველა წარსული ზამთარი. თოვლი მალე დადნა — კვამლად და ორთქლად იქცა მზის გულზე. ულაყები აქეთ-იქით აწყდებოდნენ ბაგას, ხელებს ულრღნიდნენ მეჯინიბეებს. მერე ხარები მოჰყვნენ ფშვინვას, ბღავილისაგან სუნთქვა ეკვროდათ და ფერმაზე მიბმული მძლავრად არყევდნენ მუხის ძელებს. ტყის პირას შაშვები აჭახჭახდნენ, სალამოობით ნახშირივით შავმა შოშიებმა იწყეს სტვენა. ხევებში თავბრუდამხვევად აყვავდა შოთხვი. ზამთარში უსირცხვილოდ გაშიშვლებული სოფელი, ახლა ღობეებთან ჩარიგებული ცირცელის, არყის ხისა და იასამნის ფოთლებით იმოსებოდა...

მინდვრებს უკვე მწვანე ბურუსი გადაეფარა, გზებსაც მტვერი დაედო, კართან მშრალი ზაფხული მოდგა, როცა ილია სნეგირიოვმა ისევ ციმბირისაკენ იბრუნა პირი.

გამგზავრება ადრევე, ჯერ კიდევ თებერვალში გადაწყვიტა.

სალამო ხანს, მგზავრობით დაქანცული ილია სატყეო მეურნეობის კანტორიდან გამოვიდა და თავისი მანქანისაკენ გაემართა. მანქანა მოჭრილი ტოტებით მოფენილ განაკაფში იდგა. ისევე, როგორც მის სათბუნებელს, ბამბის შარვალს, ხელებსა და ქუდს მანქანასაც ბენზინის სუნი ასდიოდა, სნეგირიოვიც კი მხოლოდ ორად-ორ სუნს გრძნობდა: ზაფხულში მტვრისას, ზამთარში კი ყინვისას.

მაგრამ თებერვლის იმ სალამოს თოვლჭყაპი იყო. ცა გამომწვანებულიყო, ტყის იქით მუქი წითელი ფერი რიალებდა, შავ ხეებს კვირტები დაჰბერვოდათ. ჰაერი გაზაფხულის ისეთი მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი, რომ ილიამ იგრძნო და ერთ ხანს ისუნთქა კიდეც. მერე ცხვირი მოიხოცა და, გაცივებულ კაბინაში რომ ძვრებოდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ციმბირში წასვლა.

გაზაფხული პირველად როდი ერეკებოდა ადგილიდან. ციმბირშიც ნამყოფი იყო — შარშანაც იქ ეტანჯა მთელი ზაფხული. შემოდგომაზე კი საშინლად გულგატეხილი დაბრუნდა შინ. ბარაკებში ცხოვრება არ მოეწონა, ციმბირიც შეჯავრდა, ტაიგის ქინქლაცა და გზებზე „მაზ"-ების ყურისწამღები დაძაბული ხმაური.

სნეგირიოვს შინ ჭრელი თოვლისაგან დასერილი მიწა, გაძარცვული ტყე და უსიცოცხლო, ჩაყამებული ბალახი დახვდა, ბალახის ღეროებს ქარი არხევდა. ღამღამობით ქარახვეტია ხორხოშელას ყრიდა. მერე დიდი თოვლი წამოვიდა. თოვლი ხან იყინებოდა, ხანაც ლღვებოდა და სნეგირიოვიც სიხარულით ჩადგა თავის კალაპოტში.

დღე და ღამე საჭესთან იჯდა — ხან სადგურში მიდიოდა, ხან ტყეში, ზოგჯერ მეზობელ რაიონებშიც ამოყოფდა ხოლმე თავს. სადაც ულამდებოდა, იქ უთენდებოდა: სისხამ დილით გაათბობდა წყალს, რადიატორში ჩაასხამდა, მოტორს აამუშავებდა და გამალებით ხვრეპდა ჩაის, თან მასპინძელს ემასლაათებოდა და თან სიამოვნებით უსმენდა ქუჩაში მანქანის დაგუდულ გუგუნს.

უყვარდა ღამით უკაცრიელ გზებზე მგზავრობა, როცა გგონია, რომ ქვეყანაზე მარტო შენ გღვიძავს, როცა მანქანა მირიხინობს და ყვინთავს, წინ კი შუქის დამაბრმავებელი ლაქა ხტის — ბორბლებიდან ჰორიზონტამდე.

ღამ-ღამობით, მარტოდმარტო მგზავრობის დროს, წარსულზე ფიქრი გულს აღარ უმძიმებდა. ციმბირზე რომ ნაწყენი იყო, ისიც ავიწყდებოდა და ყოველივე ცუდი ქრებოდა, თითქოს უსიამოვნება არც არასოდეს არ შემთხვევოდეს. მეხსიერებაში მთის ქედები, დაუდეგარი უცხო მდინარეები, კაშხალთა ბეტონის მძიმე კონტურები და მათი სილამაზე და სიძლიერე რჩებოდა მხოლოდ...

და თებერვალში სნეგირიოვმა გამგზავრებაც გადაწყვიტა, მაისში, გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე, სამსახურს დაანება თავი.

* * *

ღლისით ძინავს, გულს იჯერებს; თავს ისე გრძნობს, თითქოს შვებულებაში იყოს. ყოველ სალამოს გამოეწყობა და გამოსამშვიდობებლად მიდის მეზობლებთან. თავდაპირველად ხმას არ იღებს, კარგ მეღლეობესავით. მაგრამ მერე და მერე ლაპარაკის მადა ეხსნება და სულ ციმბირი აკერია პირზე. დიდხანს და დალაგებულად ლაპარაკობს, მის მეგობრებს კი სახე ენისლებათ — მათაც უნდათ ციმბირში წასვლა.

შინ გვიან ბრუნდება, დერეფანშივე იხდის ჩექმებს და ქოხში წინდების ამარა დადის, ჰგონია, დედას სძინავს. ერთ კვირაში ყველას გამოეთხოვა და იქეიფა კიდეც. უკანასკნელ სალამოს შინ ატარებს, შორი გზისათვის ემზადება და დედის ნაღვლიან სინაზეს და ნამტირალევ თვალებს პირველად ამჩნევს. დასაძინებლად რომ წვება, ხან ციმბირზე ფიქრობს და ხან დედაზე, რომელიც მარტოდმარტო რჩება, ხან ნაღვლობს, ხან კი უხარია — ჩუმჩუმად პაპიროსს ეწევა და ვერ იძინებს.

მზე შუბის ტარს უახლოვდება, როცა ილია სახლიდან გამოდის. არავინ აცილებს. არ უყვარს როცა აცილებენ. მხოლოდ დედა მიყვება თან. დილას აქეთ დედა სულ ტირის და, ახლა, შვილთან ერთად რომ მიაბიჯებს სოფლის შარაზე, სუნთქვა ეკვრის, მაგრამ მაინც ლაპარაკობს. ძალიან უმნიშვნელო წვრილმანებზე ლაპარაკობს.

სოფლის განაპირას, სადაც გზა მკვეთრად უხვევს მარჯვნივ და ოლეების გავლით მინდორს მიუყვება, მანქანა შემოხვდებათ — სადგურიდან აგური მოაქვს. ახლა ამ მანქანაზე ილიას მეზობელი და ამხანაგი მიშკა ფირსოვი ზის.

სნეგირიოვები მანქანას გზას უთმობენ. სახეში გაზაფხულის მსუბუქი მტვერი ეყრებათ. მიშკა რაღაცას ყვირის გზადაგზა, მერე მანქანას ამუხრუჭებს, კაბინიდან ხტება და ილიასთან ბრუნდება.

— მაშ, მიდიხარ? — ეკითხება და ხელს უწვდის. მიშკას ბენზინის სუნი ასდის.

— მივდივარ, — ამბობს ილია.

— მერე და, ისევ რომ არ მოგეწონოს?

— ნუ გეშინია, მომეწონება... — ბურტყუნებს ილია და დაძაბული გაჰყურებს მინდორს. ესმის, როგორ არათანაბრად სუნთქავს უკან დედა.

— ეჰ! მაშ, გათავდა რაღა მე და შენი ქეიფი, — ამბობს მიშკა და მოგუგუნე მანქანისაკენ იყურება. — მოკლედ, შენ იცი... ერთიც მოვწიოთ, ა, რას იტყვი?

პაპიროსს უკიდებენ და ცოტა ხნით სდუმან.

— მერე და თამარი? — აგონდება მიშკას. — მოგვარებულია საქმე?

— რა, თამარი! — უდარდელად პასუხობს ილია. — თუ უნდა — ჩამოვა.

— მაშ ასე... აბა ჰე, შენ იცი!

— კარგი, — ამბობს ილია.



უნდათ გადაეხვიონ, მაგრამ რატომღაც რცხვენიათ და უბრალოდ ხელს ართმევენ ერთმანეთს.

— პირდაპირ მატარებელზე მიდიხარ? — ეკითხება მიშკა.

— სულზე მივუსწრებთ, — ამბობს ილია და მოუთმენლად ცმუკავს.

— შენ იცი, თორემ ასე, საათნახევრის შემდეგ, ისევ უკან ჩამოვივლი და წაგიყვანდი... აბა, გუდ ბაი!

მიშკა მანქანისაკენ მირბის, ილია და დედამისი კი გზას განაგრძობენ. ერთი წუთის შემდეგ კი ესმით, რომ მიშკამ სიჩქარე ჩართო და მანქანა მძიმედ დაძრა ადგილიდან.

დედა კარგა ხანს არ იღებს ხმას, თავშალი თვალებზე ჩამოუწევია, მზისგან სახეს იფარავს. ბოლოს დაბნეულად ამბობს:

— მე კი გეუბნები, რომ თამარის შედარებაც არ შეიძლება იმ შენს გოგოებთან, — დედა ბეჯითად წარმოთქვამს სიტყვა „შედარებას“ და, როგორც ჩანს, კმაყოფილია, ასე კარგად რომ გამოუვიდა ნათქვამი. — მერე კიდევ, თამარს ნამდვილად უყვარხარ, იმათ კი არა ჰგავს, რომ გელაქუცებიან...

ილია ხმას არ იღებს, მაგრამ დედას ლაპარაკი სწყურია და ისიც ლაპარაკობს თამარზე, ლაპარკობს იმაზე, რომ ნეტავი კარგი ცხენი შეხვდებოდეს, როცა კარმიდამოში ბოსტნის დახვნის რიგი მოუწევს, და ისევ თამარს უბრუნდება. ილია საათს დახედავს და ნაბიჯს უჩქარებს, დედაც ჩქარობს, მიცუქცუქებს და აზრები ერევა.

— აბა, შვილო... — ამბობს და ჩერდება.

ილიაც ჩერდება. დედის გაცრეცილ, ახლომხედველ, სიყვარულით სავსე თვალებს უყურებს და ცხვირს ისრესს. ტუჩები უთრთის, ყელში რაღაც მოაწვა, მაგრამ მერე ნიკაპი წინ გამოსწია, წარბები მაღლა აზიდა და მშვიდი სახე მიიღო.

— მოდი, მე... შენ... — ამბობს დედა და პირჯვარსა სწერს. — წადი, წადი, შენ ჩქარა უნდა წახვიდე. მე კი... მეც... ნელნელა წამოვალ.

— წერილს მოგწერთ, დედიკო! — ხმამაღლა ამბობს ილია და უხერხულად კოცნის დედას, — არ იავადმყოფოთ.

— არ იჩხუბო. თბილად ჩაიცვი... იქნებ ჯერ კიდევ ცივა იმ ციმბირში, — ამბობს დედა და ცდილობს არ იტიროს.

— ჰო, კარგი ერთი, დედი! — მეტისმეტად მხნედ უპასუხებს ილია, — პირველად ხომ არ მივდივარ? თქვენ თავს მოუარეთ. ყველაფერი მომწერეთ, რა იქნება, როგორ იქნება, ფულს კი პირველივე ხელფასიდან გამოგიგზავნით.

კიდევ ერთხელ მოეხვია დედას, მერე მიტრიალდა და ჩქარა წავიდა. ილია სრუტუნებს, თვალები ეწვის, ყელში რაღაც ულიტინებს. ორასიოდე ნაბიჯის შემდეგ წყნარდება, სუნთქვა უთანაბრდება, ცხვირს აღარ ისრესს და იმ გულისყურიან, მეოცნებე შესახედაობას იძენს, რაც ამ უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე ჰქონდა.

ილია მსუბუქ, თხელ ღრუბლებს შესცქერის, ლაწვზე კუნთი უტოკავს, ნერწყვს ყლაპავს და რატომღაც უკვე ჩრდილოეთ ენისეის ხედავს — უზარმაზარ კლდეებს შორის, ხედავს ტაიგას, პატარა ვულკანებს და მუშათა ახალშენების მქრქალ ელექტროშუქს, თეთრი ღამის სინათლეში.

კიდევ ორასიოდე ნაბიჯის შემდეგ ილია შემობრუნდა, დედას ხელით შუბლი მოუჩრდილავს და ნელ-ნელა მოჩანჩალებს უკან. ილია ჩერდება, ცხვირსახოცს იღებს და უქნევს. მაგრამ დედა არ პასუხობს.

„ვერ მხედავს“! — გულაჩუყებული ფიქრობს ილია, ამოიხვნეშებს და გზას განაგრძობს.

მხოლოდ მაშინ, როცა ის სულ უფრო და უფრო უმატებს ნაბიჯს, დედა ჩერდება და მხიარული ღიმილით უქნევს ხელს, ჰგონია, შვილი შემობრუნდაო, და უყურებს. შვილის სახესაც არჩევს და უკვირს, ასე კარგად რომ ხედავს ცრემლიანი თვალებით.

შორს, მინდორში, სამანზე წერტილი მოძრაობს — ვიღაც გოგონა ტყისაკენ გარბის. „აი, დედაჩემიც ხომ გარბოდა ოდესღაც ასე!“ — სიყვარულითა და სევდით ფიქრობს ილია და მოტრიალდება. დედა უკვე ისე შორსაა, რომ ვერ გაიგებ, გაჩერდა თუ კიდევ მოდის.

დედა კი სულ მოდის, მოდის, უკან დაბრუნება ვერ გადაუწყვეტია. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდის და თავსაფრის ბოლოებით იწმენდს. ახლა უკვე აღარ სჭირდება თავის შეკავება, მარტოა მინდორში... „ღმერთო ჩემო! — ფიქრობს ის. — აღარ უნდათ მშობლიური კერა! დადიან, დადიან, მთელი ქვეყანა დადის — ეს რა დროება დადგა! პერანგისამარა... ფეხშიშველი დარბოდა — ბამბის ქულასავით თეთრი, ღვთისმშობელო დედაო! ახლა კი, აგერა, გაფრინდა!..“

ის ჩერდება, სლუკუნებს, ხელმოჩრდილული შორს იცქირება. დიდი ხანია მიიმალა ილია, ჰორიზონტის იქით გაუჩინარდა დედას კი ეჩვენება, თითქოს ხედავს თავის შვილს: ისევ მობრუნდა, ხელს უქნევს, ეთხოვება.

დედა ღრმად, სვენებ-სვენებით ხვნეშის და პასუხად ულონოდ სწევს ხელს.

თარგმნა ლიანა ჩხეიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი თაობის რომანტიკა

ჩემი რომანტიკა, ჩემი თაობის რომანტიკა! სალამი შენ, წლების უკან აელვარებულო ბავშვობის ფერო და სურნელებაგანუმეორებელო, მარად სახსოვარო. სალამი თქვენ, საყვარელო ბავშვებო, ჯარისკაც მამებს რომ აცილებდით მატარებლებისაკენ. თქვენ ხელში მამის ჩანთები გეჭირათ და გუმანითაც ვერ ხვდებოდით, — როგორ მთავრდებოდა თქვენი ბავშვობა. შინ მობრუნებულნი ჩერდებოდით ნაცნობ ქუჩაზე და ფიქრობდით — კვლავ თუ გაივლიდნენ ამ ქუჩაზე მამაკაცები მძიმე ნაბიჯებით. თქვენ გიკვირდათ და გიხაროდათ სხვისი ოჯახიდან გამოსული კაცის ხმა. სალამი თქვენ, ძვირფასო ბავშვებო, მატარებლის კიბეზე მდგარნი რომ მიდიოდით საყვარელ სადგურებამდე. სადგურებზე თავსაფრიანი ქალები ჰყიდდნენ მჭადის კოკრებს და ჰყვებოდნენ რა თქვა რადიომ. სალამი და დაგვიანებული სინანული — რადგან ვერ ხვდებოდით, რატომ ამბობდნენ დედები უარს თავიანთ ულუფაზე. თქვენ მიგიხაროდათ სკოლის სარდაფებში გამართული სცენისკენ, სადაც საკუთარ ლექსებს კითხულობდით ომზე და გმირებზე. დაფასთან გამოძახებულნი არ იხდიდით პალტოებს, რომ გახუნებული ტანსაცმელი არ გამოგჩენოდათ და მამებს უგზავნიდით სამკუთხა ბარათებს, სადაც მოსავალსა და ამინდზე სწერდით. ხდებოდა ზოგჯერ რომ მამები ახერხებდნენ ერთი დღით ოჯახში შემორბენას. თქვენ ძლევდით პირველი წუთების უხერხულობას და ეფერებოდით წვერმოდებულ უხეშ სახეებს. მერე დღიურებში იწერდით ლექსებს, რომელიც იმ უძილო ღამეს გამოთქვით. აი, ერთი ასეთი ლექსიც:

„ქარიან ღამით მოხველ,
კარზე კაკუნი ფრთხილი...
ერთად ვიყავით წუხელ
ორნივ — მამა და შვილი.
ვეფერებოდი დიდხანს
მაგ მონატრებულ სახეს.
შენ ბევრი რამე მითხარ,
გისმენდი ცეცხლის მნახველს...“

ეს ლექსი ჩემს დღიურს შემორჩა, როგორც ძვირფასი გახსენება, და იგი შინმობრუნებული მამისათვის არასოდეს მითქვამს...

სალამი თქვენ, ჩემო ტოლებო, რომლებმაც სწორედ იმ წლებში ამოხსენით რად უყვარს ადამიანს პოეზია, რად სწყურია იგი წყალივით, ჰაერივით. იმ წლებში ნახეთ პირადად დიდი მგოსანი გალაკტიონი და ქუჩაში დაედევნეთ. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა წვერი მოშვებული და მშვენკრავი, ლამაზი სახე აღტაცებით შემოაბრუნა თქვენკენ:

„ახალგაზრდობავ, ფრთები გჭირდება!“ — ხელგაშლით მოგმართათ და ბელინსკის დაღმართს ოდნავ ატორტმანებული დაუყვა... „ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა“... და კიდევ ცისფერი მერი — „და შრიალებდა ტოტი ვერხვისა, რაზე? ვინ იცის, ვინ იცის მერი...“ თქვენ რაღაც მანქანებით შეკრიბეთ ფული და მისი ძვირფასი წიგნი იყიდეთ. ეს წიგნი იმ აღტაცებულ დღეთა მოსაგონრად გაქვთ დღესაც შენახული! თაობავ ჩემო! იმ დღეებში შენ ჩერდებოდი კედლებთან და გულმოდგინედ კითხულობდი ზედ გაკრულ გაზეთებს, გაზეთებს ცეცხლის სუნი სდიოდა თითქოს და ცეცხლში კიაფობდა სხვათა ლექსებიც, რომლებიც გვამაღლებდა, გვაწრთობდა. თაობავ ჩემო! შენ ახლაც ზეპირად იცი მათი სტროფები — კაპიტანი ბუხაიძე, სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკაიაზე... ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე... არ მინახიხარ, ვაჟკაცო, ჭიჭიკო ბენდელიანი... შენ გახსოვს ორივე ზოია და რამდენჯერ გიმღერია:

„ტრამალები სდუმან შენი
საქმით განაკვირები.
მოდიან და შენს საფლავთან
ქუდს იხდიან გმირები.
შენს ქალობას დალოცავენ,
შენს მაჯას და იარაღს.
რა პატარამ გამოსცალე
უკვდავების ფიალა!“

თაობავ ჩემო, ასე მოვიდა შენთან მართალი პოეზია. მანამდე კი შენ გახსოვდა მშვიდობიან დღეთა პარადები, სადაც მხრებზე შესმული მოჰყავდი მამებს. შენ ფურცლავდი დიდ ჟურნალებს და ეკითხებოდი უფროსებს მამაც ჩელუსკინელებზე, რომელთაც ყინულებზე გაატარეს ზამთარი. უფროსები გიყვებოდნენ, თუ როგორ გაჩნდა ჩელუსკინელთა შორის პატარა გოგონა, რომელსაც კარის ზღვის მოსაგონრად „კარინა“ დაარქვეს. კარინა ჩვენმა მფრინავებმა გადაიყვანეს ხმელეთზე და მაშინ რა იცოდი, რომ კვლავ შეხვდებოდი უკვე დაქალებულს, შენს აღორძინებულ რუსთავ-ქალაქში! თაობავ ჩემო, შენ ზეპირად იცოდი მფრინავთა სახელები და თაყვანს სცემდი შევარდენ ჩკალოვს, რომლის დაღუპვაც ქართული სიმღერით დაიტირე:

„ჩკალოვს კითხულობს პოლუსი,
ჩკალოვს კითხულობს ტაიგა:
ჩვენი შვილია, გვითხარით, —
საით წავიდა, რა იქნა?

და შენ გემაყებოდა აჭარელი გოგონა ფადიმე გოგიტიძე, რომელმაც პირველმა აიხადა ბნელი ჩადრი და ლაჟვარდებში აიყვანა თვითმფრინავი.

თაობავ ჩემო! — შენ გახსოვს, როგორ გიკერავდნენ ესპანურ ქუდებს — წითელი ფუნჯით მორთულ ლურჯ ქუდებს. შენ უარს ამბობდი ტკბილეულზე, აგროვებდი ფულს და ჰგზავნიდი ცეცხლმოდებულ ესპანეთში.

შენ ბავშვური გულით ეზიარე შენი ქვეყნის შრომის რომანტიკას და აღტაცებული ჰყვებოდი, თუ კრემლში როგორ დაასაჩუქრეს მაჯის საათით ტაჯიკი გოგონა — მამლაქათ ნახანგოვა. მამლაქათი იმ საათს ხელიდან აღარ იშორებდა თურმე და ერთხელ, როდესაც საათი მოიშალა, ხელოსანს ხელშედვე შეაკეთებინა...

თაობავ ჩემო! შენ სწავლისაკენ მოგიხმობდა შენი ქვეყანა, და როდესაც საუკეთესო მოსწავლე — ეთერ გვანცელაძე საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს, ეს შენ საკუთარ ჯილდოდ მიიჩნიე. ამ გოგონას უზბეკური ქუდი ეხურა და პატარები ჯგუფად დავდევდით უკან, რათა ეამბნა კიდევ ერთხელ, ვინ ჩამოართვა კრემლში ხელი და რა დააბარა ქართველ ბავშვებთან!

თაობავ ჩემო, —შენ კიდევ ბევრი რამ გაქვს მოსაგონარი, რაც შენს ბავშვობას ალამაზებდა, რასაც შემდეგში მოგვიანებით რომანტიკა დაარქვი, ბავშვობის რომანტიკა... მოვიდნენ სხვები, უფრო კარგები, უფრო მშვენიერნი, უფრო უზრუნველნი, უზრუნველყოფილნი. თაობავ ჩემო! შენ გევალება შეუქმნა მათ რომანტიკა, მშვიდობიან დღეთა რომანტიკა, ათასგზის კარგი და უკეთესი!

ნაზი კილასონია

# მეგობრული [illegible]



იგი საწერ მაგიდასთან ზის და ბარათს დასცქერის. აი, უკვე მერამდენედ გადაიკითხა სტრიქონები: „პირველად მოვისმინე ქართული სიმღერები და, რაც მთავარია, პირველად ვიხილე ქართული ცეკვები ბავშვთა შესრულებით. გემის მთელი შემადგენლობის სახელით გთხოვთ, თუ საშუალება გექნებათ, ამ საზაფხულო არდადეგების დღეებშიც გამართოთ კონცერტი ჩვენს გემზე...“

მოზარდი თაობის მოამაგეს, პლეხანოვის სახელობის კლუბის საბავშვო სექტორის გამგეს ვალენტინა საჯაიასა და გემ „პობედას“ კაპიტანს ივანე პისმეხს შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებთ.

1959 წელს მხატვრული კოლექტივების დათვალიერებაზე ბათუმში თბილისის პლეხანოვის სახელობის კლუბის საბავშვო სექტორმა ჟიურის მადლობა დაიმსახურა. საზოგადოება აღაფრთოვანა ბავშვთა ხელოვნებამ. ნორჩებმა შეასრულეს რამდენიმე ქართული სიმღერაც. ხშირად გაისმოდა მქუხარე ტაში. საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოება ანსამბლის მაღალი ოსტატობის დადასტურება იყო.

მეორე დღეს კი კაპიტან პისმენის თხოვნით გემ „პობედას“ საკონცერტო დარბაზში იფრქვეოდა ქართული მელოდიები. დოლისა და აკორდეონის აკომპანიმენტით ასრულებდნენ თბილისელები ქართულ ცეცხლოვან ცეკვებს. დარბაზში გაისმოდა მეზღვაურთა აღტაცებული შეძახილები.

საზაფხულო არდადეგების დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბის ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების 50 წევრმა ბათუმში მოაწყო ექსკურსია. ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობის შემდეგ ნორჩები კვლავ თბომავალ „პობედას“ ეწვივნენ და ეკიპაჟისათვის კონცერტი გამართეს.

კონცერტის შემდეგ კაპიტანმა ი. პისმენმა სტუმრებს გადასცა საჩუქარი წარწერით: „დიდი მადლობა მშვენიერი კონცერტისათვის, გისურვებთ წარმატებას ცხოვრებასა და სწავლაში“. შეხვედრის სამახსოვროდ კი სურათი გადაიღო ბავშვებთან.

...ვალენტინა საჯაია თავის სამუშაო ოთახშია. მას ბავშვების მოსვლამდე უამრავი საქმე აქვს. აგერ ერთი მშობელი ცნობას ითხოვს კონსერვატორიისათვის. მისი ქალიშვილი ხომ აქ დაეუფლა მუსიკალურ ხელოვნებას. მეორე — მადლობის სათქმელად მოსულა. ვალენტინამ, როგორც ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატმა, ბევრ სკოლამიტოვებულ ბავშვს გაუწია მზრუნველობა, სწორ გზაზე დააყენა, ხოლო ზოგიერთები სწავლისაგან მოუწყვეტლად ფაბრიკებში მოაწყო.

ხალისით იგონებს ვალენტინა ერთ ამბავს: ბრგე ვაჟკაცმა კოპებშეკრული ბიჭუნა მოუყვანა და თხოვნით მიმართა, ყმაწვილი რომელსამე წრეში ჩააბითო. ვოკალური მონაცემების მქონე ჭაბუკს თავდაპირველად არ აინტერესებდა მუსიკა, მაგრამ ვალიამ თავისი გაიტანა და ერთი წლის შემდეგ 9 წლის ბიჭუნა გუნდის სული და გული გახდა. წარმატებით გამოდიოდა პიონერთა ბანაკებსა და საბავშვო სექტორის მიერ გამართულ კონცერტებზე. მერე მეოთხე მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა და იმავე გუნდს დაუბრუნდა, სადაც პირველად აიდგა ფეხი. გ. მარიამულის ვაჟიშვილი, მორის მარიამული უფროსების გუნდს ჩაუდგა სათავეში და დღეს ჩინებულად უძღვება საპატიო საქმეს.

ვალენტინა საჯაია თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირულმა კომიტეტმა 1950 წელს მოიწვია ბავშვთა შორის მუშაობის ხელმძღვანელად. გულისფანცქალით ელოდა იგი პირველი მერცხლების მოფრენას.

გამოჩნდნენ პირველებიც: ქარხნის მუშის ა. ლაფაჩის ქალიშვილები ლედი და ლაურა, რომლებიც ლიტერატურის წრეში ჩაირიცხნენ. მათს მაგალითზე თანდათანობით სხვებიც მოვიდნენ და სულ მალე წრეში 50 ბავშვი აღმოჩნდა. ჩაუმუხლავად ტრიალებდა სექტორის გამგე მათ შორის, დადიოდა სკოლებში, ოჯახებში, ქარხანაში და გარს იკრებდა ბავშვებს, რომელთა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია.

ჯერ კიდევ 1911 წელს გაუმართავთ აქ უფასო კონცერტები რკინიგზელთა ბავშვებისათვის, სადაც ბავშვებს წაუკითხავთ ლექსები ქართულად, რუსულად, სომხურად, გერმანულ და სხვა ენებზე. 1914 წელს დიდი ზეიმით აღუნიშნავთ გლეხთა განთავისუფლების 50 წლისთავი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ცნობილ მწერლებს: სოფ-

რომ მგალობლიშვილს, კოტე ყიფიანს და სხვებს. ეს იყო წარსულში.

1951 წლის ივლისში კი პირველი მოსაწვევი ბარათი აუწყებდა საზოგადოებრიობას: „პლეხანოვის სახელობის კლუბის საბავშვო სექტორი გიწვევთ თქვენ სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად გამართულ მხატვრულ ლიტერატურულ დილაზე“. ეს იყო ბავშვთა თვითმოქმედი ძალებით გამართული პირველი საბავშვო დილა.

ბავშვთა სექტორის მუშაობა პოპულარული გახდა. სექტორის ზრდასთან ერთად დღითიდღე იზრდებოდა ნორჩების შემოქმედება. თუ პირველ ხანს სექტორში მხოლოდ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილებს იღებდნენ, 1954 წლიდან ფართოდ გაუღეს კარი ლენინის რაიონის ბავშვებს. ოცამდე შემოქმედებით და ტექნიკურ წრეში ბავშვები ეცნობიან ხელოვნებისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებს.

დავინტერესდით ვალენტინას პიროვნებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად სინათლე საჯაიების ოჯახშიც შევიდა. 12 წლის გოგონამ დაამთავრა დაწყებითი სასწავლებელი, აქ, ლენინის რაიონში, გაიკეთა პიონერული ყელსახვევი. მაშინ ახალი ახმაურებული იყო პიონერთა დაფდაფები. ბავშვები მიდიოდნენ გარეუბნის სოფლებში და ქმნიდნენ პიონერთა ორგანიზაციებს, აარსებდნენ თვითმოქმედ წრეებს, შეფობას უწევდნენ უპატრონო ბავშვებს. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ვალენტინაც.

შემდეგ კომკავშირის წლები, სიმწიფის ატესტატი. ვალენტინა ჯერ მეჩონგურე ქალთა ანსამბლის წევრია, მერე კი პაჭკორიას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გამოდის მომღერალ-მოცეკვავედ, მონაწილეობს მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაში.

ქალიშვილს გული დიდი სცენისკენ მიუწევდა. 1938 წელს შედის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე და ექვსი წლის მანძილზე მსახიობად მუშაობს რუსთაველის თეატრში, სამსახურიდან თავისუფალ დროს კი ისევ ბავშვებთან ატარებს. ერთნაირი მზრუნველობით ასწავლის სიმღერასა და ცეკვას ეზოსა და უბნის ბავშვებს. მას სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ რკინიგზელი მუშების ოჯახებში. ამიტომ იყო, რომ იგი ერთხმად აირჩიეს ბავშვთა სექტორის ხელმძღვანელად.

პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლთან არსებული საბავშვო სექტორის გამგე ვალენტინა საჯაია საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებას ატარებს. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ლენინის რაიონის მშრომელებში და თითოეული სკოლის, სახლის თუ ეზოს სასურველი სტუმარია.

**თამარ გომართელი**

### ჩვენ გვწერენ

# რაიკომის მუშაკი



რთული და კეთილშობილური სამუშაო აქვს თამარ ღუდუშაურს. იგი პარტიის ყაზბეგის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეა. მას ერთი წუთითაც ვერ ნახავთ უქმად მყოფს: ამზადებს საკითხებს ბიუროსათვის, ატარებს პარტორგანიზაციის მდივნების სემინარს, როცა ადგილზე ვერ მიდის, ტელეფონით უკავშირდება შორეული სოფლების საკოლმეურნეო, სასკოლო და ტერიტორიული პარტორგანიზაციების მდივნებს, აძლევს მათ რჩევა-დარიგებას, მათთან პრაქტიკული დახმარებისათვის აგზავნის ინსტრუქტორებს და თვითონაც ხშირად მიდის, რომ საფუძვლიანად შეისწავლოს პარტორგანიზაციების მიღწევები, ნაკლოვანებები, სადღეისო ამოცანები, ადგილზევე გაუწიოს მდივნებს დახმარება.

თამარ ღუდუშაური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიღებული დადგენილებების შესრულებას. ბუნებრივიცაა, უამისოდ შეუძლებელია მუშაობაში სასურველი შედეგების მოპოვება.

თამარმა კარგად იცის, რომ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ფაქტიურად პარტიული მუშაობის ყველა ძირითად მხარეს მოიცავს. ამიტომ იგი ხშირად ხვდება კომუნისტებს კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, ხალხთა თავშესაყარ ადგილებში, აცნობს მათ პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. თამარი სერიოზულ ყურადღებას აქცევს პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომების და პლენუმების დადგენილებების შესრულებას.

მას მხედველობიდან არ რჩება კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებიც. იგი ზრუნავს ამ ორგანიზაციების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ყოველ გაზაფხულზე ახალი საქმე ელოდება თამარს. მან უნდა დარაზმოს სოფლის კომუნისტები გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის — ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

თამარისთვის დიდმნიშვნელოვანი იყო 1950 წელი, დაამთავრა საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო რაისაბჭოს აღმასკომში საერთო განყოფილების გამგედ. პირველად ძნელი იყო ამ საქმის გაძღოლა, მაგრამ ამხანაგების დახმარებით მალე ყველაფერი აითვისა.

პარტიულ ამხანაგებს შეუმჩნეველი არ დარჩათ თამარის საქმიანობა, მისი ნიჭი და უნარი. მალე იგი პარტიის რიგებში მიიღეს და პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად დააწინაურეს. ის შუაღამემდე უზის საწერ მაგიდას, ეუფლება ცოდნას, კითხულობს პარტიულ ლიტერატურას, სწავლობს ლენინის შრომებს და გონივრულად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

1966 წელს თამარმა წარმატებით დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ახლა მას კიდევ უფრო ფართო გზა გაეხსნა მეცნიერების დაუფლებისაკენ, პარტიული საქმიანობის გაშლისაკენ.

თამარ ღუდუშაური მომთხოვნი, პრინციპული, გულისხმიერი და თავდადებული მუშაკია. ამიტომ იყო, რომ დაბა ყაზბეგის მშრომელებმა იგი მეორედ აირჩიეს რაისაბჭოს დეპუტატად.

**კ. ჩქარეული**



# მასწავლებელი

გააჩერეთ საგარეჯოში გზად მიმავალი კაცი და ჰკითხეთ, სად ცხოვრობს დარუსია მასწავლებელი. იცოდეთ, პასუხთან ერთად ისეთ კრიალა ღიმილს მიიღებთ, რომ ერთბაშად საუცხოო ხასიათზე დადგებით და იმ უცნობს არანაკლებ ღიმილს დაადევნებთ უკან.

ამბობენ, სტატისტიკოსები ყველაფერს ღრიცხავენო. ეს რომ მართლა ასე იყოს. საგარეჯოში მცხოვრები ყოველი 5 კაციდან 4 დარუსია მასწავლებლის ნამოწაფარი, ნამოწაფრის შვილი ან შვილიშვილი გამოდგება.

მოკლეა ვითომ კაცის ცხოვრება? რას ამბობთ! შრომაში გატარებული 60 წელი! 60 წელი გაამრავლეთ 360 დღეზე, 360 კი იმ ადამიანთა რიცხვზე, რომლებთანაც შეხვედრა უხდებოდა დარია ივანეს ასულ მაისურაძეს: მოსწავლეები, მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სტუდენტები, მაყურებლები, გაზეთის მკითხველები (1922 წელს იგი ყოველკვირეული გაზეთის „სინათლის" პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა მოწინავე სტატიის ავტორი თვითონ იყო, მთელ ღამეებს გაზეთის საკუთარი ხელით დაწერასა და გაფორმებას ანდომებდა. სად იყო სტამბა), სასამართლო დარბაზში თავმოყრილი თანასოფლელები (დარია ივანეს ასულს დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული სახალხო სასამართლოში. არ ყოფილა ათეული წლების მანძილზე არც ერთი საჯარო-საჩვენებელი გასამართლება, რომ იგი მსაჯული არ ყოფილიყო. მუშაობდა თარჯიმნად, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, დამცველად, (თარგმნიდა კასაციებს), სასოფლო ბიბლიოთეკის · წევრები, კოლმეურნეები; გაამრავლეთ ამ ადამიანთა რიცხვი და მერწმუნეთ, მაშინ მართლა დაგჭირდებათ სტატისტიკოსის დახმარება.

საგარეჯოს ნახვას ახლა რაღა სჯობს: მოასფალტებული, ლამპიონებით გაბდღვრიალებული გზები, კოხტა ეზოები და სახლები, უამრავი მასწავლებელი და ექიმი, აგრონომი და შრომის გმირი, გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, ხვავი და ბარაქა.

დარუსია მასწავლებლის ერთსართულიანი სახლი თითქმის რაიონის ცენტრში დგას, სახლს ბაღჩაც ახლავს, თავისი პატრონის პაწია, მაგრამ ათასგვარ შრომაში გამოჯანგული ხელებით გამშვენიერებული. ამ ბაღჩაში ხშირად ზის იგი... ზის და უგდებს ყურს, სახლს მიღმა როგორ მისრიალებენ „ვოლგები" და „მოსკვიჩები", როგორ ჟრიამულობენ სოფლის გოგო-ბიჭები... მერე მისდაუნებურად წარსულზე, ყმაწვილქალობაზე ფიქრი მოეძალება. ასეა, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ახლობელი და საოცრად ნაზი ხდება ახალგაზრდობაზე, წარსულზე ფიქრი.

მაშინ არ იყო გაბრდღვიალებული ქუჩები, არ იყო „ვოლგები" და „მოსკვიჩები". ოღროჩოღრო ქვიან გზებზე ლაყლაყით დადიოდა „ლილეინკა". უსიხარულო, ჩაბნელებული სახეები ჰქონდათ ადამიანებს, მაგრამ იყო ახალგაზრდული შემართება, მჩქეფარე ენერგია, უდიდესი სურვილი, უკეთესი, აი სწორედ ისეთი, როგორიც ახლაა, უმშვენიერესი გამხდარიყო მშობლიური საგარეჯო.

მრავალ, ძალიან მრავალნაირ საქმიანობას ემსახურებოდა დარუსია მაისურაძე. მაგრამ მისი ძირითადი სტიქია, მაინც, პირველ რიგში მასწავლებლობა, მერე კი მსახიობობა იყო.

1911 წელს შეაღო დარია ივანეს ასულმა სკოლის კარი. ვიცი, ყველა მის ნამოწაფარს როგორ ცხადად უდგას ახლა იგი თვალწინ: კოხტა, ამაყად ყელმოღერილი, მსუბუქი, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო, ისეთი ნაბიჯით მოსიარულე. მუდამ ელვარე, ეშმაკობითა და სითბოთი სავსე თვალები და მკაფიო, ძალიან მკაფიო რუსული გამოთქმა.

იგი რუსულს ასწავლიდა. ასწავლიდა რაღაც უცნაური ჟინითა და სიბეჯითით, ასწავლიდა ისეთი მონდომებითა და სიყვარულით რომ, რაც უნდა რეგვენი ყოფილიყავი, არასოდეს თავიდან აღარ ამოგივარდებოდა, რომ თუ სიტყვის პირველ მარცვალში „ო" „ა"-დ იკითხება და ამ „ა"-ს შემდეგ რამდენიმე ხმოვანი მოსდევს, მაშინ იგი რაღაც ყრუდ, ნახევრად უნდა წარმოსთქვა.

რამდენი რამ სჭირდებოდა მაშინ მასწავლებელს, რამდენნაირმა, ხან ცეცხლივით მოგიზგიზე, ხან ტყვიასავით შავმა და მძიმე ღრუბლებმა გადაუარა ქვეყანას. იყო რევოლუცია, ინდუსტრიული მშენებლობა და ხუთწლედები, იყო ომი, ნგრევა და შიმშილი. და ყოველთვის დარია ივანეს ასული ერთნაირი თავგამოდებით იდგა ცხოვრების მოწინავე რაზმში. აბა, ჰკითხეთ მის ნამოწაფრებს, ჰკითხეთ, თუნდაც, თელავის აღმასკომის თავმჯდომარეს მედიკო მეზვრიშვილს. იგი მოგიყვებათ, როგორ მუშაობდა დიდი სამამულო ომის წლებში მათი მასწავლებელი კოლმეურნეებთან და მოსწავლეებთან ერთად მინდვრად. ღამით, როცა ნახევრადმშივრებსა და დაღლილებს პირდაპირ მიწაზე ეგოთ და ეძინათ, როგორ ჩუმად ჩამოუვლიდა მათ, თავზე ხელს გადაუსვამდა. სასთუმალს გაუსწორებდა, რომელიმესთან ჩამოჯდებოდა და ბავშვებს არაფერი მოეწყინოთო, მთელ ღამეს ასე გაათენებდა. როგორ დაჰყავდა აგიტბრიგადები კოლმეურნეობებში და თავადაც აგიტატორობდა. როგორ პატრონობდა უმამოდ დარჩენილთ. რა გატაცებით ურჩევდა სოფლელ გოგონებს, ევლოთ კოხტად, მოხდენილად, სიარულის დროს პირველად ფეხის წვერი დაედგათ, თორემ რა ქალის საკადრისია უშნოდ ჯლაგუნი.

ბუნებამ მას საკუთარი შვილი არ მისცა, მაგრამ ეს რა სახსენებელია, როცა მან ოთხი ბავშვი იშვილა და გაზარდა, და თუნდაც ასე არ ყოფილიყო, მთელი საგარეჯო მისი შვილებით არაა სავსე!

დარია ივანეს ასულის მეორე პროფესია, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მსახიობობა გახლდათ. ადამიანს თავისი ბუნება ყველა საქმეში თან მიჰყვება. ჰოდა, თეატრშიც ისე თავდადებით შრომობდა, როგორც სკოლაში. აი რას სწერს მისი თეატრალური ცხოვრების შესახებ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ სულთანიშვილი: „საგარეჯოში ჩატარებულ ყოველ საღამო-წარმოდგენაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა დარია მაისურაძე. ჩემი რეჟისორობის 17 წლის მანძილზე მას შესრულებული აქვს მრავალი როლი. როლების გარდა იგი დაუზარებლად ასრულებდა ხაზინადარის, აფიშების გამფორმებელის და ქორეოგრაფის მოვალეობას.

დარია ივანეს ასული ჩვენთან ერთად ფეხით დადიოდა საგარეჯოს სოფლებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, სადაც საღამოწარმოდგენებს ვმართავდით ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად.

დარია ივანეს ასული ყოველთვის მთავარ როლს ასრულებდა და უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგადაც..." ასეთივე აზრისა იყვნენ მისი თეატრალური მოღვაწეობის შესახებ საშა ბურთიკაშვილი, სიმონ თეარაძე და სხვები.

მთელი ცხოვრება ამ ღვაწლმოსილი ქალისა სავსე იყო შრომით, რიტმით, ფ[illegible]ებით,

ამაშია, ალბათ, მისი ახალგაზრდობის ელექსირის საიდუმლოება.

ზის ახლა თავის ბაღჩაში დარია ივანეს ასული და ყველა ამ ამბებს იგონებს. იგონებს ცხოვრებიდან წასულ მის შესანიშნავ კოლეგებს და თანამებრძოლებს, რომელნიც მასავით ილწვოდნენ მშობლიური საგარეჯოსათვის. აღარ არიან მის გვერდით განსწავლული ლენტო და სოლომონ გულისაშვილები, აღარ არის მართალი კაცი კოტე გოგიაშვილი, სპეტაკი შუბლითა და სუფთა თვალებით, და ბევრნი სხვანი.

მაგრამ ცხოვრებას, ამ წყალუხვ მდინარეს სულ ახალახალი ტალღები მოაქვს. დარია ივანეს ასულთან მუდამ გვერდით არიან მისი ძველი და ახალი მეგობრები. მსჯელობენ წარსულზე და მომავალზე: როგორი თაობა იყო წინათ და როგორია ახლა იგი.

სახლს მილმა სრიალით მიჰქრიან „ვოლგები“ და „მოსკვიჩები“. დარია ივანეს ასულს ისევე უყვარს ცხოვრება, როგორც ყოველთვის. მისი ბაღჩის კარს მეზობლის ბიჭი შეაღებს და სთხოვს დარუსია მასწავლებელს საკონტროლო თემა გაუსწოროს.

ახლა იგი უკვე 80 წლისაა, მაგრამ ერთხელ თვითონ გვეწვია რედაქციაში: გამართულ ბეჭებზე კოხტად მოეხვია შავი ფერის ნაზი აჟურული მოსასხამი, მოსასხამს გარშემო თეთრი ბეწვი ჰქონდა და ყო[illegible] და პატრონის ისედაც დახვეწილ გარეგნობას უფრო მეტ ელეგანტურ იერს აძლევდა.

როცა სხივშერჩენილ, თითქოს ოდნავ დამცინავ, მაგრამ მოალერსე თვალებს ვუყურებდით და მკაფიო, რბილი დიქციით ნათქვამ სიტყვებს ვისმენდით, ყველამ სათითაოდ, როგორც მერე ერთმანეთს გამოვუტყდით, უკუვაგდეთ სიბერის შიში და ვიწამეთ იმ დროის მოახლოება, როცა ადამიანი ღრმა მოხუცებულობამდე ახალგაზრდული დარჩება.

**ნანული ცაგარეიშვილი**

# ქალთა შორის მუშაობის კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ ჩვენს ქვეყანაში ქალთა განყოფილებები და საბჭოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

და, მართალია, ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგიდან დიდი ხანია მოიხსნა მრავალზემრავალი იმ პრობლემებიდან, რაც მაშინდელ ქალთა საბჭოს აღელვებდა, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ერთგული და მოყვარული დედისა და დიასახლისის თვალი და ხელი ესაჭიროება და კვლავაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანს: წარმოებას, დაწესებულებას, მეურნეობას, სოფელს, ქალაქს და მთლიანად ჩვენს ქვეყანას; ამიტომაა, რომ ამ ათი წლის წინ ორიოლელ ქალთა ინიციატივით დაარსებულმა ქალთა საბჭომ მთელს საბჭოთა კავშირში დიდი გავრცელება ჰპოვა.

ამ ინიციატივას ჩვენს რესპუბლიკაში პირველი ქ. თბილისის კალინინის რაიონი გამოეხმაურა, აწ განსვენებულ ეთერ სალუქვაძის თაოსნობით. კალინინის რაიონს სხვებმაც აუბეს მხარი. ქალთა კომისიები გაჩნდა რაიონებში, მსხვილ საწარმოებში, სოფლად...

და, აი, ა. წ. 8 აპრილს საქართველოს პროფსაბჭოში, ქალთა შორის მუშაობის კომისიების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მოწვეულ იქნა ხუთდღიანი თათბირ-სემინარი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, პროფკავშირთა რესპუბლიკურ და საოლქო პროფსაბჭოებთან არსებული ქალთა კომისიების თავმჯდომარეები.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის ნათელა ვასაძის მოხსენება — „ქალთა კომისიების ამოცანები ქალთა ყოფაცხოვრების პირობებისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში“.

მოხსენებით — „არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულობათა ჩადენის, უზედამხედველობისა და უმეთვალყურეობის გამომწვევი მიზეზების შესახებ“ გამოვიდა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი დორა კატუკია.

დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის შემდგომ გაუმჯობესებაზე ილაპარაკა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსმა ლ. ირემაძემ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნინო ჯავახიშვილი თათბირ-სემინარის მონაწილეებს ესაუბრა ქალთა საერთაშორისო მოძრაობისა და ქალთა შორის მუშაობის კომისიის ამოცანებზე.

მოხსენებით — „სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მოწყობა ხუთდღიან სამუშაო კვირის პირობებში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების გამგე გ. აბდუშელიშვილი.

თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლემ ლ. არზიანმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლი შეიძლება შეასრულონ ქალთა კომისიებმა სოციალისტური ოჯახის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა დარეჯან იოსელიანმა განიხილა საკითხი „ქალთა კულტურული, იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-ესთეტიკური აღზრდა“.

ქალთა შორის პედაგოგიური პროპაგანდის აუცილებლობაზე ესაუბრა სემინარის მონაწილეებს პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, დოცენტი მარიამ ბურჭულაძე.

მოხსენება — „ადგილობრივ ქალთა კომისიების მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები“, — გააკეთა ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. კოპალეიშვილმა. ამავე კომისიის ვეტერანთა და პენსიონერთა სექციის თავმჯდომარემ ოლია საბაშვილმა ისაუბრა ვეტერან და პენსიონერ ქალებთან მუშაობის შესახებ.

ქალთა შორის მუშაობის კომისიებისა და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საქმიანობას შეეხო თავის მოხსენებაში ჟურნალის რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებს თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ქალთა კომისიის თავმჯდომარეებმა: თბილისიდან — ვ. მეგრელიშვილმა, თელავიდან — დ. ბოჭორიძემ, აჭარის ასსრ-დან — გ. კიკნაძემ, მესტიის რაიონიდან — პ. მარგიანმა, მახარაძის რაიონიდან — ნ. გობრონიძემ, გუდაუთის რაიონიდან — ლ. გვაჯავამ, გეგეჭკორის რაიონიდან — ე. ოსიძემ.

თათბირ-სემინარის მონაწილეები შეხვდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებს: ვ. სირაძეს, ზ. კვაჭაძეს, შ. კიკნაძეს, ნ. ჟვანიას, ე. ჩოფიკაშვილს, ე. ლლონტს და სხვებს.

ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბში და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სტუმრებს შესანიშნავი შეხვედრა მოუწყვეს მედიცინის გამოჩენილმა მუშაკებმა, ქალაქის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა და პიონერთა სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

...დამშვიდობებისას თათბირ-სემინარის ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ ამ შეკრებამ მას ბევრი რამ შესძინა და ახლა გაათკეცებული ენერგიითა და საზოგადოებრივი მუშაობის ცოდნით გამდიდრებული დაუბრუნდება თავის უბანს და ჩაებმება საქართველოს ქალთა კომისიების (საბჭოების) დიდ და კეთილშობილურ შეჯიბრებაში, იბრძოლებს, იმისათვის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის მოიპოვოს ჯილდო, რომელიც ჩვენი ჟურნალის რედაქციამ დააწესა ქალთა შორის მომუშავე საუკეთესო კომისიისთვის — „ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მანდილი.“

ლილი ბექანიშვილი



მოთხრობა

ჩანთაში ყველა საჭირო წიგნი და რვეული ჩადო, არც ფერადი ფანქრები და სახატავი რვეული დავიწყებია. მხოლოდ მშობლიური ლიტერატურის წიგნი გადადო გვერდზე.

სახლიდან მოგვიანებით გავიდა. ფეხს ითრევდა. ბებიის რიდი რომ არ ჰქონოდა, სკოლაში არ წავიდოდა. ერთხანს იფიქრა, პირველ გაკვეთილს მაინც გავაცდენო. არც ეს დაუჯდა ჭკუაში. „რატომ გააცდინე? სად იყავი?“ — ჩააცივდებოდა კლასის ხელმძღვანელი.

ზარის დარეკვას ერთი ფეხით მიასწრო.

საკლასო ოთახში ყურთასმენის წამღები ზუზუნი იდგა: ზოგი საშინაო დავალებას წერდა გაჩქარებით, ზოგიც კუთხეში მიმდგარიყო და ლექსს ხმამაღლა ზეპირობდა.

გაკვეთილი დაიწყო.

საკლასო ოთახში ახალი მასწავლებელი შემოვიდა, ხანშიშესული, ჭაღარა ქალი. მოსწავლეები ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ.

მასწავლებელი კლასს მიესალმა და სია ამოიკითხა...

— ბავშვებო, რა გქონდათ გაკვეთილად? — მასწავლებელს გულში ჩამწვდომი, თბილი ხმა ჰქონდა.

ზოგიერთმა ხელი ასწია, სულწასულებმა კი ადგილიდან წამოიძახეს:

— ლექსი „დედა“, ზეპირად.

„ნეტავ არ გამომიძახოს“ — გაიფიქრა აჩიკომ. მხრებში მოიხარა, ამხანაგის ზურგს ამოეფარა.

ჯერ ცივცინო გამოიძახა, მერე — — დათო, არც ვაჟა დატოვა გულნაკლული...

„გადავრჩი“ — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა, როცა მასწავლებელი ფეხზე წამოდგა.

აჩიკო წელში გაიმართა და მასწავლებელს თავისუფლად შეხედა.

— აბა, ბიჭიკო, შენ! — თბილად გაუღიმა.

აჩიკოს გააცია. ისედაც პატარა იყო და, ახლა ისე დაპატარავდა, თითქოს მერხში აპირებდა ჩაძვრომას. დარწმუნებული მაინც არ იყო, რომ მას ეკითხებოდა. უკან გაიხედა.

— შენ გეკითხები!

ახლა კი მძიმედ წამოდგა ფეხზე და თავჩაქინდრული გაჩერდა.

— დაიწყე!

— არ ვიცი! — წარმოთქვა ჩურჩულით. მასწავლებელს მისი ხმა არ მისწვდენია. ტუჩების მოძრაობაზე მიხვდა ნათქვამის აზრს.

— რატომ არ იცი? — მასწავლებლის ხმაში ყინული გაერია, — მითხარი, რატომ არ ისწავლე?

ბიჭს პასუხი არ გაუცია. იდგა თავჩაქინდრული.

მოსწავლის შეპასუხებას ან ტყუილ თავის მართლებას ვერ იტანდა, მაგრამ დუმილმა უფრო გააღიზიანა. მასწავლებელს სახეზე წითელი ლაქები დააჩნდა. „არ ისწავლა, ისიც რა ლექსი!... იტეხე თავი მასწავლებელმა, გაიხეთქე გული. ვინ დაგიფასებს! ვინ იცის, დედამისი არხეინად ზის სახლში“.

— ხვალ დედას მოიყვან. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაგიშვებ! — უთხრა ცივად.

მართლაც და რას იხეთქს გულს! დედამისი მოვა და მას ელაპარაკება! კალმისტარი აიღო და ჟურნალში, აჩიკოს გვარის გასწვრივ, მოზრდილი ორიანი მოხაზა.

აჩიკოს სახე გაუფითრდა. მოსწავლეები გაისუსნენ და რაღაცის მოლოდინში შეშფოთებული მიაჩერდნენ.

— პოეტი არ არის მართალი... ყველა დედა არ ასწავლის შვილს ლაპარაკსა და სიარულს. არც მისი მაჯა უჭირავს ხელში... ამ ლექსს არ ვისწავლი!.. — თვითონაც არ ახსოვს, როგორ წამოიძახა.

პირი გაუშრა, ყელში რაღაც მოაწვა. ტირილი რომ არ წასკდომოდა, კბილებს მოუჭირა. ხელები მომუშტა. არ იტირებს, არასოდეს იტირებს, რადგან ბებიასაგან იცის, მხოლოდ ქალები ტირიან, ვაჟკაცებს კი გულში ეღვრებათ ცრემლი, მართალია ჯერ თორმეტი წლისაა, მაგრამ ხომ გაიზრდება, დავაჟკაცდება...

მასწავლებელმა სათვალე მოიხსნა, აჩიკოს გაოცებით მიაჩერდა, ბავშვის თვალებში იმდენი სიავე და ბოღმა გამოკრთოდა, ქალს გული გაეყინა.

მოსწავლეები დაძაბული შესცქეროდნენ მასწავლებელს. „ახლა კი დაიყვირებს, დაიყვირებს ისე, რომ კედლები ზანზარს დაიწყებს“ — ფიქრობდნენ ისინი.

მასწავლებელი ნელი ნაბიჯით ჩამოვიდა კათედრიდან და აჩიკოსთან მივიდა. ბიჭი თავდახრილი იდგა. სუსტი, ბავშვური მხრები უცახცახებდა. ცრემლი არ უჩანდა, მაგრამ ემჩნეოდა, გულში ტიროდა.

გაოფლიანებულ შუბლზე ჩამოწეწილი თმა გადაუწია და ალერსიანად უთხრა:

— დაჯექი, ბიჭიკო, დაწყნარდი!..

ზარი დაირეკა.

მასწავლებელი დაფიქრებული გამოვიდა კლასიდან. გულის სიღრმეში რაღაც ქენჯნას გრძნობდა. დერეფანი მოსწავლეებით იყო სავსე. დარბოდნენ, ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ, იცინოდნენ. ის მიდიოდა და არავის ამჩნევდა. თვალიდან არ შორდებოდა ჯიუტად მოკუმული ტუჩები და მწუხარებით დაბინდული პატარა შავგვრემანი სახე.

## ახალი ლექსები

ეთერ ჯიშკარიანი

### დედულეთში

წყალტუბოს იქეთ, ცხონკურის სერზე
მიხმობს ალვები, მაღლა ასული,
ცხვრის ტყავს ახმობენ ისევ დაირად,
ფოთლებსაც უყვართ ცეკვა დაირით.
სანამ შუკებში სიარულს შევძლებ,
გზაწვრილს და ხრამებს ისევ დავივლი...
კვლავ თუ აშრობენ ბადეს ღობეზე,
ჩემს სარკმელს კენჭებს კვლავ თუ ესვრიან,
თევზის დაჭერა ხომ არ მობეზრდათ,
სურო თუ ფარავს ძველ ეკლესიას?
სადაც სიმღერა მიყვარდა ეგზომ, —
თუთამ ჩონგური თუ გამითალა,
თუ კვლავ ალვიძებს „კანტორის ეზოს“,
სტვენას ჩვეული ბიჭი შავთვალა...
ისევ ავირბენ კოწოლოურზე,
სადაც ნაწვიმარს ქარი მაშრობდა,
ჩემი თოჯინა დიდედას სკივრში
შემონახულა, როგორც ბავშვობა.

## პატარებისათვის

### უკვირს დათოს პაწიას

— უუუ! — გემმა შეჰყვირა
და მოცურდა ნაპირთან.
უკვირს დათოს პაწიას,
წყალში დგას და არ ყვინთავს.

არც გზები ჩანს ასფალტის,
არც რკინიგზა აგია,
ფიქრობს: ნეტავ გემები,
წყალში როგორ დადიან?

ან თუ ეს ის გემია,
ჩემს წიგნში რომ ხატია,
უკვირს დათოს, ამხელა
წიგნში რაღამ დატია?

ლამარა რუსიშვილი

### გია ტყეში

გიას უნდა წასვლა ტყეში,
არ ყოფილა თავისდღეში,
სანადიროდ გამოეწყო,
დაიჭირა თოფი ხელში.

დათვებმა რომ დაინახეს,
გაუკვირდათ მეტისმეტად:
„ეს ხომ ჩვენი ბელი არის,
თოფი ვილამ მისცა ნეტავ?!.“

ნუნუ ლალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი საათი რუსუდან ნიკოლაძესთან

ამას წინათ ვეწვიე ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილს, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძეს. გამაოცა ამ ტანმორჩილი ქალის ახალგაზრდულმა ენერგიამ. მას ხომ უკვე 83 წელი შეუსრულდა!

რაც უფრო ვუკვირდები და ახლოს ვეცნობი, მით უფრო მეტი სიყვარულითა და პატივისცემით ვიმსჭვალები მისდამი. მასზე თამამად შეიძლება ითქვას — ადამიანი-ისტორია.

მართლაც, რუსუდან ნიკოლაძე ხომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში (1884 წ.) დაიბადა. მან განვლო ბრწყინვალე სკოლა, როგორც შინ, ასევე იმ ადამიანების წრეში, რომლებსაც წილად ხვდათ ისტორიული მისიის შესრულება.

რუსუდანს ბედნიერება ჰქონდა პირადად ენახა, მოესმინა, ან ესაუბრა ისეთ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი და გიორგი წერეთელი.

რუსუდანს ბედმა არგუნა დიდი ბედნიერება: მან ნახა ცოცხალი ლენინი.

დღეს რუსუდანი კმაყოფილებით იგონებს მათთან შეხვედრის ეპიზოდებს.

როგორც თვით რუსუდანი შენიშნავს, მან მწერლის კალამი ქიმიკოსის ლაბორატორიით შესცვალა და დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი სულაც არ ნანობს, რომ მწერალი არ არის (თურმე, გიორგი წერეთელი უწინასწარმეტყველებდა პატარა რუსუდანს მწერლობას და თავად რუსუდანიც ზღაპრების წერას ცდილობდა).

ბავშვობის წლებზე არაფერს ამბობს რუსუდანი, საკუთარ თავზე სიტყვაძუნწობს. მას ურჩევნია ახლობლებზე გესაუბროთ, მოიგონოს დიდ ადამიანებთან შეხვედრები.

მას შემდეგ, რაც ქიმიურ მეცნიერებას დაუახლოვდა, იგი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა. ჯერ კიდევ ოცდაათი წლის ასაკში, დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. — მოგეხსენებათ, ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში უმაღლესი განათლების საკითხი სავალალო მდგომარეობაში იყო. საერთოდ არ არსებობდა ორიგინალური სახელმძღვანელოები და, რაც მთავარია, ტერმინოლოგია.

1913 წელს საქართველოს ტექნიკური საზოგადოების ინიციატივით (საზოგადოების თავმჯდომარე გ. გედევანიშვილი იყო) ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო სექცია, რომლის ერთ-ერთი წევრი და სულისჩამდგმელი რუსუდან ნიკოლაძე გახლდათ.

ქართული ტერმინოლოგიის გამოცემის აუცილებლობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ რუსულ-ქართული ლექსიკონის პირველი გამოცემა სულ რაღაც ორ თვეში მთლიანად გაიყიდა და სექციის წევრები იძულებული გახდნენ 1921 წელს განმეორებით გამოეცათ, როგორც რუსულ-ქართული, ასევე ქართულ-რუსული ლექსიკონები.

1926 წელს დაარსდა სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის აქტიურ წევრად კვლავ რჩება რ. ნიკოლაძე.

ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენით (სრულყოფილი სახით იგი 1935 წელს გამოვიდა) ქართველმა ინტელიგენციამ და სტუდენტობამ მიიღო მეტად საჭირო წიგნი.

ტერმინოლოგიის კომიტეტში მუშაობის პარალელურად მეცნიერი ქალი ახერხებს ცალკეული გამოკვლევების დაბეჭდვას იმ ხანად პოპულარულ ჟურნალ „ტექნიკა და შრომაში". კერძოდ, რუსუდანმა საინტერესო მონოგრაფიული ხასიათის მასალები გამოაქვეყნა დიდ რუს ქიმიკოს დ. მენდელეევზე, აკადემიკოს პისარჟევსკიზე, პროფესორ შალამბერიძეზე, შეადგინა და გამოსცა ზოგადი ქიმიის ქართული ტერმინოლოგია და ნომენკლატურა.

რ. ნიკოლაძემ უმაღლესი განათლება ლენინგრადში მიიღო და გადაწყვიტა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმისათვის მიეძღვნა. იგი 1931 წელს სათავეში ჩაუდგა ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას და 36 წლის განმავლობაში სამაგალითოდ ხელმძღვანელობს. მისი ლექციები მუდამ საინტერესოა, თხრობა — მომხიბვლელი. სტუდენტები მუდამ მოუთმენლად ელოდებიან პროფესორის გამოჩენას.

მხცოვანი პედაგოგი 33 წელია პროფესორის ტიტულს ატარებს, ხოლო 1941 წლიდან მინიჭებული აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.



რუსუდან ნიკოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ნიკოლაძემ მოამზადა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ნეიტრონები ორგანულ ქიმიაში“.

დიდია რუსუდანის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. მან სათუთად შემოუნახა შთამომავლობას თავისი სახელოვანი მამის ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურული და ძმის გიორგი ნიკოლაძის მეცნიერული მემკვიდრეობა. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა მთელი საარქივო მასალები უსასყიდლოდ გადასცა კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებასა და რესპუბლიკის ფოტოფონოფილმების არქივს.



**ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი**

მას შემდეგ, რაც დახარისხებული და აღრიცხული იქნა ნიკო ნიკოლაძის არქივი, მრავალმა ქართველმა სწავლულმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ რუსუდანის ცხოვრების დაწვრილებით გადმოცემას. რას იზამთ, არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი. სამაგიეროდ გულუხვად გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სასიქადულო მამულიშვილებზე.

ვსარგებლობთ შემთხვევით და დღემდე უცნობ ეპიზოდებს ვისმენთ.

ნიკო ნიკოლაძეს გულთბილი მეგობრობა აკავშირებდა აკაკი წერეთელთან. თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც ნიკოს საქმიანობას დიდი მგოსნის გულისწყრომა გამოუწვევია.

ერთი ასეთი გულისწყრომა აკაკიმ 1894 წელს გამოხატა.

მოგეხსენებათ, იმ წლის შემოდგომაზე ნიკო ფოთში ქალაქისთავად აირჩიეს და ამიტომაც უარი განუცხადებია ჟურნალ „მოამბეში“ ორი განყოფილების გაძღოლაზე. ეს უარი აკაკის „წმინდა საქმის“ ღალატად მიუჩნევია და უთქვამს: ნიკოს „ზეცით მოწოდებული“ კალამი კალატოზობაზე გაუცვლია და ფოთში გადადის „ბაყაყების მეფედო“.

ასეთივე „დავა“ აკაკის და ნიკოს უფრო ადრე — 1873 წელს ქუთაისში მოსვლიათ. მაშინ, აკაკის თქმით, ნიკო „თავიან-ფეხებიანად“ ყოფილა ჩაფლული ტყიბულის ქვანახშირის ამოღებისა და მილიონერ ნოვოსელსკის ხელიდან მისი გამოგლეჯის საქმეში.

იმდენად შორს წავიდა მათი უთანხმოება, რომ ტყიბულის საქმეზე პარიზში მიმავალ ნ. ნიკოლაძეს გადაუწყვეტია გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობაზე ხელი აეღო და გულზე ცეცხლმოდებულმა გამოსათხოვარი წერილი — „მშვიდობით, მშვიდობით“ — დაბეჭდა კიდეც გაზეთში. აღნიშნულ წერილს ილიასა და პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების საყვედური და საპროტესტო გამოსვლა დაუმსახურებია იმავე გაზეთში.

ასეთი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, აკაკისა და ნიკოს შეუბღალავი მეგობრობა აკავშირებდა. აკაკი ხშირად იყო ნიკოსთან აგარაკზე, ხანაც სოფლად, ჯიხაიშში.

1908 წელს ნიკო ნიკოლაძე ინჟინრების თანხლებით ფოთიდან მარტვილში წასულა, რათა მდინარე ცხენისწყლის სარწყავი არხები დაეპროექტებიათ. გზად მშობლიურ სოფელში გაუვლიათ. იქ აკაკი დახვედრიათ. როგორც კი გაუგია ნიკოს მგზავრობის მიზეზი, აკაკის უთხოვია: მეც წამიყვანეთ, დიდი ხანია მარტვილის ტაძარი არ მინახავსო. ნიკოს ჯერ უარი უთქვამს — ხანდაზმული ხარ, აბა როგორ ივლიო. მაგრამ მგოსნის დაჟინებითი მოთხოვნით მასპინძელი დათმობაზე წასულა.

სანამ მარტვილისკენ გეზს აიღებდნენ, სოფელში ერთი მეტად საინტერესო სცენა გათამაშებულა: ეზოში ხალვათად მოსეირნე აკაკის ყურადღება მიუპყრია მობალახე თეთრ სახედარს. აკაკის გახსენებია სახედრის ისტორია (თეთრი სახედრები ესპანეთიდან გემით ჩამოუყვანიათ 1908 წელს. ერთი სახედარი ნიკოსაც ეყიდა და ჯიხაიშში გაეგზავნა) და დიდხანს უცინია. ინჟინრებისთვის უთქვამს: უცნაური კაცია ნიკო — იგი თავის თეთრ ვირშიაც მთელ ამერიკას ხედავს ჯიხაიშისთვისო.

როდესაც სიცილით გული იჯერა, აკაკიმ ნიკოს სთხოვა: სახედართან ერთად სურათი გადავიღოთო. დიდხანს „ეხვეწნენ“ სახედარს, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფრით „დაიყაბულეს, გადაეღო სამახსოვრო სურათი ორ გამოჩენილ ადამიანთან“. ბოლოს ხერხს მიმართეს და სიმინდით სავსე ჯამი დაუდგეს წინ. რუსუდანმაც არ დააყოვნა და საკუთარი ფოტოაპარატით იმწამშივე გადაიღო სამახსოვრო სურათი.

აკაკის უთქვამს, თუ ხუმრობაა, ბარემ ბოლომდე ვიხუმროთო. — იქვე, ნიკოს ქალიშვილებისთვის საჩრდილობელი ქუდები წაურთმევია და სახედაჩრდილული დამდგარან აპარატის წინაშე.

ბაქოს ნავთობის დამუშავების საკითხის გამო საკმაოდ ხანგრძლივი და დაძაბული „ბრძოლა“ გადაუტანია ნ. ნიკოლაძეს გამოჩენილი რუსი ქიმიკოსის დ. მენდელეევის წინააღმდეგ.

ამ „ბრძოლაში“ მცირე, თუმცა არაპირდაპირი, წვლილი ცნობილ რუს რევოლუციონერს, მწერალ ნ. გ. ჩერნიშევსკისაც ჰქონია შეტანილი. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ 18-19 წლის ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში ნ. ჩერნიშევსკის დაუახლოვდა. ჩერნიშევსკიმ ურჩია ახალგაზრდა ქართველ მეგობარს, რომ შინ დაბრუნებისას ისევე ეზრუნა ჯერ დაუმუშავებელი მშობლიური მიწაწყლის შესწავლა-გამოყენებისათვის, როგორც ეს ლომონოსოვს ჰქონდა თავის დროზე დაწყებული.

ჩერნიშევსკის შეგონებას იმდენად დიდი ზეგავლენა მოუხდენია ნიკო ნიკოლაძეზე, კირილე ლორთქიფანიძესა და დავით აბდუშელიშვილზე, რომ მათ ნევისპირელ ბუკინისტისაგან მამასისხლად უყიდიათ ლომონოსოვის თხზულებათა სამტომეული, რის შემდეგაც „ერთთვიანი შიმშილობა“ გამოუცხადებიათ. სამტომეულს დიდი სარგებლობა მოუტანია ქიმიისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლაში.

და აი, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ბაქოს ნავთობის საბადოს მარაგის სიუხვე, მისი დამუშავება-მოხმარების საკითხმა ორი სხვადასხვა გაქანების ადამიანის ყურადღება მიიპყრო. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ დიდი რუსი მეცნიერი დიმიტრი მენდელეევი და ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, მათი გეგმები დიამეტრალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

დ. მენდელეევი აფშერონის ნახევარკუნძულზე აღმოჩენილ „შავი ოქროს“ გადამუშავება-გამოყენებას ვარაუდობდა ბაქოდან გაზიდვით ჩრდილოეთში. უკეთ, რომ ვთქვათ, მენდელეევის გეგმით ბაქოს ნავთი ნედლეულის სახით უნდა გადაეზიდათ და რუსეთში დაემუშავებინათ. ეს კი რუსეთის ცენტრალურ ნაწილში მრეწველობის განვითარების მტკიცე საფუძველს შექმნიდა.

ცხადია, საკითხის ამგვარი დასმა ამიერკავკასიის მოწინავე ინტელიგენციაში მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდა. რამდენადაც ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას ფრთები შეეკვეცებოდა და, ისედაც სილატაკეში მყოფი ხალხი კიდევ უფრო დაბეჩავდებოდა.

აი, სწორედ ამიტომ, ნიკო ნიკოლაძე მტკიცედ აღუდგა ამიერკავკასიიდან ბაქოს ნავთის ნედლეულად გაზიდვის გეგმას.

1882-83 წლებში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების სხდომებზე ერთმანეთს შეეჯა-



ნიკო ნიკოლაძე

ხა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პროექტი — მენდელეევისა და ნიკოლაძისა.

პეტერბურგიდან პასუხის მიღებამდე, ნიკომ საკუთარი რისკით ბაქოს ნავთობის გადამუშავებით მიღებული მაზუთი გამოსცადა ფერლის სისტემის ორთქლმავლებზე როგორც საწვავი ნივთიერება. პირველი ცდა ჩატარდა რკინიგზის რთულ პროფილზე — სურამის უღელტეხილზე. ცდამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, გაანთავისუფლა უამრავი ხე-ტყე და ქვანახშირი.

დადებითმა შედეგმა ნიკოს დიდი „კოზირი" მისცა ხელში და დავაც მისი პროექტის სასარგებლოდ გადაწყდა. მალე ბათუმში აგებული იქნა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მრეწველობის განვითარებას.

1904 წელს „გამარჯვებული" და „დამარცხებული" პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს.

„ნევის პროსპექტზე, რიკერის ცნობილ წიგნების მაღაზიაში მე და მამა თაროებს ვათვალიერებდით. უცებ ვიღაც უცხო (მხოლოდ ჩემთვის) მამაკაცი მიეჭრა მამას და მეგობრულად გადაეხვია. მამამ უცნობი გამაცნო. მე, რა თქმა უნდა, მენდელეევის გაცნობა გამეხარდა. მეგობრებმა ახალგაზრდული გატაცებით გაიხსენეს მათი ისტორიული „ბრძოლა" ბაქოს ნავთობისათვის.

მენდელეევმა აღიარა: „თქვენთან ის ბრძოლა რომ არ წამეგო, მე ასეთი დაძაბული ენერგიით ვერ მოვიბრუნებდი პირს დონბასის წიაღისეული სიმდიდრეებისაკენ, და ვინ იცის, რამდენად დაგვიანდებოდა ამის გამო იქაური მძიმე მრეწველობის გაშლაო".

მეცნიერმა ჭიქა ჩაიზე მიგვიწვია. მამა, რა თქმა უნდა, გაყვა, მე კი გახარებულმა მეგობრებისკენ მოვკურცხლე".

რაკი საუბარი დ. მენდელეევზე ჩამოვარდა, გავიხსენოთ მისი დაკრძალვის ცერემონიალიც, რომელიც იმ დროისათვის ძალზე უჩვეულო და საშიშიც იყო.

ეს იყო 1907 წლის სუსხიანი ზამთრის დღეს. ქუჩაში 29 გრადუსი ყინვა იყო. ხელებსა და სახეს ცივი ქარი თოშავდა.

დიდი რუსი მეცნიერის ცხედარი პეტერბურგში, ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში იყო დასვენებული. დადგა გამოთხოვების ჟამი. სტუდენტობამ მოითხოვა, რომ მეცნიერის ცხედარს არ გაყოლოდა სამღვდელოება და არც ხატები წაემძღვარებიათ წინ. პოლიციის ნაცვლად თვით სტუდენტები იცავდნენ წესრიგს.

როგორც კი დააპირეს ცხედრის გამოსვენება, ლაბორატორიის კედლიდან გიორგი ნიკოლაძემ ჩამოხსნა ლითონის ფურცელზე ამოკვეთილი მენდელეევის პერიოდული სისტემა და ქუჩაში გამოიტანა. ინსტიტუტიდან სასაფლაომდე 7-8 კილომეტრი იყო და ამ მანძილზე, ყინვაში, პერიოდული სისტემა წინ უძღოდა პროცესიას.

მენდელეევის დაკრძალვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად იქცა.

...ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. რუსუდანი საოჯახო ალბომს მაწვდის, ხელთ უცხო სურათი მხვდება. პირველად ვხედავ ნიკო ნიკოლაძეს ასე ხანდაზმულსა და ასეთ პოზაში. დავინტერესდი სურათის ბედით. ირკვევა, რომ იგი გამოჩენილი პუბლიცისტის უკანასკნელი სურათია და თანაც არაპროფესიული ფოტოგრაფის გადაღებული.

1928 წელს ნიკო ჩვეულებრივ თავისი სახლის აივანზე იჯდა თურმე და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" კითხულობდა, თანაც ყავას შეექცეოდა. იმ ხანად მათთან ცხოვრობდა ნიკოს სიძე, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი, და აი, სწორედ მის აპარატს აღუბეჭდია სიმამრის სახე.

დრო იწურება. სამწუხაროდ, ორ საათში ყოვლად შეუძლებელია ჩაატიო მთელი ცხოვრება, მოიგონო ყველაფერი.

ერთხელ კიდევ მოვავლე თვალი ნიკოს სამუშაო მაგიდას, წიგნებს და კმაყოფილი გამოვეთხოვე დიასახლისს.

**მამია ჩორგოლაშვილი**

# ასე გავიდა 95 წელი...



ესმა ამაყად მიაბიჯებდა, მხრებგაშლილი, თავაწეული მიუყვებოდა ოღრო-ჩოღრო, ატალახებულ გზას. თავშალი მოეხვია და ბოლოები კისერზე მჭიდროდ შეენასკვა. შუბლზე ჩამოყრილ მოკლე თმას ქარი უწეწავდა.

მისი ქალიშვილობის სახელი ყველას დაევიწყებინა ერთის გარდა. ლუბას ეძახდნენ ახლა.

გაოგნებული იდგა გზაზე მედუქნე, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ თავისი საქონელი ესმას ნაწნავებად შეაფასა და... ქალმაც უკან არ დაიხია ...ოქროსფერი ნაწნავები საჯაროდ გაყიდა ამაყმა ესმამ.

ადრე გაუშავდა ლუბა არქანიას ყვავილებიანი კაბა და მანდილი, ნაღველი ჩაუდგა დიდ, ლამაზ თვალებში.

დასტიროდნენ მუჟაველები გამრჯე, შრომისმოყვარე სოფლის თავკაცს — კაზა არქანიას.

იცრემლებოდა უკვე ფესვმაგარი ცოლიკაურის ვაზი — ენგურს გადაღმიდან გადმოტანილი, კაზა არქანიას ხელით მუჟავაში გახარებული და დალოცვილი.

ობლად ეკიდა კედელზე თოფი და უნაგირი, ეზოში ჭიხვინებდა ცხენი და ამაოდ უხმობდა პატრონს.

უკვირდა პატარა ლავრენტის — რა ატირებდა დედას ან ამ ხალხს, ან ეს მამისეული ჯიხვის ფიტული. რატომ შემოსცქეროდა თვალგაშტერებული ბავშვს!

მამას კითხულობდნენ ოლგა და პაშა, ქსენია და აგრაფინა...

მერე დედა ოლგას უტოვებდა უმცროს და-ძმებს და თვითონ სამუშაოდ მიდიოდა.

მოღლილი ბრუნდებოდა შინ, რაღაც აწუხებდა, დაჟინებით ფიქრობდა. სიტყვაძვირი გახდა.

მალე აჩურჩულდნენ აქა-იქ:

— გაიგეთ, ოქროს ფასად ნაყიდი მიწის ნაკვეთი ლუბამ კოლმეურნეობაში გააერთიანაო...

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში ის-ის იყო ფეხს იდგამდა კოლმეურნეობა.

შრომისმოყვარეობას, გამრჯე ქალობას უქებდნენ ლუბა არქანიას. კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, სასოფლო საბჭოშიც ასწრებდა მუშაობას. დეპუტატადაც ბევრჯერ აირჩიეს ხუთი შვილის დედა.

# ქალი ვაჟ-კაცის გულით



აშენებდნენ ჩაის პლანტაციებს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ყოველ ნერგს. მაგრამ ხშირად სადღაც ქრებოდა ნერგები, სასუქი მოულოდნელად წყალში ჩაყრილი აღმოჩნდებოდა. რა დასამალია და, ჩაის ბუჩქები დილით დამდუღრულიც ხვდებოდათ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვლადიმერ კვარაცხელიას გული უკვდებოდა. ამ ამბის შემდეგ ლუბა საკუთარ ეზოში ინახავდა ნერგებსა და სასუქს. მას ძმა, ალექსი შეეშველა და დღედაღამ ფხიზლობდნენ, დარაჯობდნენ, მხარდამხარ შრომობდნენ.

ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა ქალმა.

მთელი დღის ნაჯაფარს შინ მიუხაროდა, დაღლა იქ ავიწყდებოდა.

...მუჟავაში მალე სკოლის შენობა წამოჭიმეს. მერე ფერდობებიც ამწვანდა, ხალხი შეესია პლანტაციებს, წალკოტში ჩაიფლო ოდა-სახლები, გაჩნდა ახალი გზები, წელში იმართებოდა გლეხი.

,,...ქალო, ნარინჯიანო, ჩითის კაბა გაცვია‘‘.. — ნიავი იტაცებდა და იქით, შორს, ფერდობებზე კარგავდა მელოდიას.

გვიანობამდე ლამპის შუქზე დახრილი დედა პატარა ლავრენტისავით გულმოდგინედ იყვანდა ასოებს...

შემდეგ კი... შაბათობით სურსათით დატვირთული ელოდა ქუთაისში და ხანაც ზუგდიდში მიმავალ მატარებელს. ქსენია და ლავრენტი უკვე პედაგოგის პროფესიას ეუფლებოდნენ, ოლგა და პაშა ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში, ხოლო აგრაფინა ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდნენ.

,,ჩავა, ჩაუტანს ხორაგს... ოღონდაც შვილებს არ მოუშივდეს...‘‘ ფიქრებში წასული, ქუთაისის ნაცვლად, სხვა სადგურში ჩამოვიდა...

შვილებისთვის არ გაუმხელია, იფიქრა და გადაწყვიტა გაეყიდა ქმრისეული სახლი.

— რას შვრები, ყიდით მამაპაპისეულ სახლს? — არ ცხრებოდა ბებია სოფიო და ჯოხით უპირებდა ჯავრის ამოყრას შვილიშვილებს...

მაგრამ მაინც პირველი გადაეხვია ბებია შინმობრუნებულთ. სიხარულჩამდგარი თვალებით შეუძღვა მიწისიატაკიან სამხად სახლში ,,ბაღნებს‘‘.

გვიან, მაგრამ მაინც აიწია ზევით იმ დაბალმა ჭერმა, ორსართულიანი ოდა წამოჭიმა შავმანდილიანმა დედამ ძველ ნაფუძარზე.

გავიდა წლები...

ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმს ლუბა არქანია 95 წლისა შეხვდა.

შრომა აცოცხლებს და ასულდგმულებს დღესაც.

ნათელა მარიამიძე

...მიდიოდა ამაყად, წელგამართული. ლომგულ ვაჟკაცებთან ერთად მიჰყვებოდა ომის ქარცეცხლიან გზებს.

ზოგჯერ, როცა მამაცი მებრძოლები დასასვენებლად ჩაიმუხლებდნენ, ძალა რომ მოეკრიბათ მტერთან შერკინების წინ, ისიც გულაღმა გაწვებოდა გადამწვარ მინდორზე, შესცქეროდა უძირო ზეცას, სადაც დენთით გაჟღენთილი ღრუბლები დათარეშობდნენ, და ოცნებობდა ივნისის ქუთაისზე, ალუბლების და ტყემლების ყვავილებით მოჩითულ მიდამოზე.

ეს სურათი ყოველთვის თვაწლინ ედგა: მაშინაც, როცა ქვემეხების ქუხილი მიწას აზანზარებდა, როცა ,,ჰეინკელების‘‘ და ,,მესერშმიტების‘‘ გნიასი ყურში უწიოდა.

და ახლაც, როცა ომის საშინელ ტკივილებს იგონებს, უნებურად ისევ ივნისზე ფიქრობს, ყვავილებით მოჩითულ ივნისზე. აგრე რიგად რომ აკოხტავებს და ალამაზებს მშობლიურ ქალაქს.

კარგად ახსოვს 1941 წლის ივნისი. მაშინ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობდა, თანაც სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა.

ყველაფერს ასწრებდა — სწავლასაც, მუშაობასაც. თანაც აეროკლუბში დადიოდა, ბეჯითად ეუფლებოდა საავიაციო ტექნიკის რთულ ხელოვნებას. მფრინავთა კურსებზე ერთ-ერთი მოწინავე რადისტის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული.

მერე ქართველ ქალიშვილებთან ერთად მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ივნისის კრიალა ცას ,,მესერშმიტები‘‘ რომ შეესივნენ, მაშინ გროზნოში იყო, რადისტის ძელმიწურში რადიოგრამებს შიფრავდა და გადასცემდა ავიოდაზვერვის სამსახურს.

მის გონებაში ცოცხლდება პირველი საბრძოლო ნათლობის სურათი.

...ჰაერშია ,,ჰეინკელი‘‘, მახაჩკალის ევაკოჰოსპიტლის მიმართულებით მიფრინავს. კოორდინატები დაზუსტებულია. საჭიროა სასწრაფო მოქმედება...

მერე, მერე...

ჰო, ავიოდაზვერვის უფროსთან, ავიაციის პოლკოვნიკ სააკიანთან გამოუძახეს. პოლკოვნიკმა ხელი ჩამოართვა.

— ყოჩაღ, ქალიშვილო, ,,ჰეინკელმა‘‘ ჭირი მოგჭამათ.

ათას ხმებში არჩევდა მტრის თვითმფრინავების ზუზუნს, ზუსტად იძლეოდა ბრძანებას. მის საბრძოლო ბიოგრაფიას თანდათან ემატებოდა მამაცობის ფურცლები.

ათასცხრაას ორმოცდაოთხის იანვარში საბრძოლო პოსტზე მდგარი ყინვამ მოთოშა. ზურგში, ევაკოჰოსპიტალში აღუდგინეს ჯანმრთელობა. კვლავ ფრონტისკენ გაუწია გულმა, მაგრამ სწორედ იმ დროს გაისმა მტერთან გამარჯვების მაუწყებელი უკანასკნელი ზალპი.

ახლა მარო სირაძე ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლაში ქიმიის ლაბორატორიაში ასისტენტად მუშაობს.

დაუყუჩდა, დაუამდა ომისაგან მიყენებული ჭრილობები.

თამამად და ამაყად დააბიჯებს ქალაქის ქუჩებში. ყოველთვის კრიალა ცაზე ფიქრობს და ცხოვრებას შეჰხარის:

— არა, ომის საშინელებანი არ უნდა განმეორდეს!

უ. ხოხიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციხესულორი

ძველად ამ მაღალ გორაზე ციხე ყოფილა მტერთა შემოსევისაგან თავდასაცავად. მის ახლოს მდინარე სულორი ჩამოდიოდა. ამიტომაც დაერქვა სოფელს ციხესულორი. ძველი ციხესულორის ხსენებისას თვალწინ წარმოგიდგებათ ტალახიანი, გაუვალი შუკები, ისლით გადახურული, გაჭვარტლული ქოხები, მბჟუტავი ჭრაქი, შრომით წელში მოხრილი, დაგლეჯილქალამნიანი გლეხი, მალარიით ილაჯგაწყვეტილი, სანთელივით ჩამომდნარი, „კეჟერას“ ფოთლით შუბლშეხვეული ქალები, მუცელგამობერილი, „ტყირპიანი“ ბავშვები...

უკვალოდ გაქრა ეს მძიმე წარსული.

1921 წელი. თებერვალი. საქართველოში ძლევამოსილად შემოაბიჯა თავისუფლებამ. ხალხთა დიდ ოჯახში შრომის ფერხულს ფეხი აუწყო ციხესულორმაც.

1929 წელი. კოლექტივიზაცია, სოფელმა იწყო გაერთიანება არტელში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ზედაციხესულორელებმა ჯერ მ. კორძაძე აირჩიეს. მალე იგი (1930 წლის 12 მაისს) მიტროფანე გიორგაძემ შეცვალა. პირველმა მოსავალმა გაახარა სოფელი. არტელის უპირატესობაში დარწმუნდა ხალხი.

ქვედაციხესულორშიც ჩამოყალიბდა არტელი — „წითელი ოქტომბერი“, რომლის თავმჯდომარედ პავლე ფანცულაია აირჩიეს.

— შრომის აღრიცხვას, — გვიამბობენ, ვეტერანი კოლმეურნეები პლატონ თოდრია და თეოდოტი მახარაძე, — ხაზის ჩამოსმით ვაწარმოებდით, მოსავალს, სასწორი რომ არ გვქონდა, გოდრით ვითვლიდით და ასევე ვანაწილებდითო.

1932 წელს ზედაციხესულორელებმა ტრაქტორი შეიძინეს, რომელსაც აფრასიონ სიმონიშვილი მართავდა. რაოდენ დიდი იყო გაოცება „რკინის ხარის“ გამო.

1935 წელს სოფელი მთლიანად გაერთიანდა კოლმეურნეობაში. მოჰყავდათ მარცვლეული, უვლიდნენ ბოსტნეულს. ცხოვრება გაუმჯობესდა. შეძლებული გახდნენ კოლმეურნეები.

მძიმე წლები გადაიტანა სოფელმა მთლიან კოლექტივიზაციამდე. სიძნელეთა დაძლევაში უფროსების მხარდამხარ ახალგაზრდობამაც გამოიჩინა თავი. მათ კომკავშირული უჯრედი უძღვებოდა, რომელიც აქ 1926 წელს შეიქმნა. პირველი კომკავშირელები: სერგო, ივანე და მიხეილ გიორგაძეები, ემანუილ მესხი, ივერიკო ძაგნიძე, გერონტი გიორგაძე, ტანია და ზინა თოდრიები, ცაცა ლომინაძე, ბენია კორძაძე, სილიბისტრო მათირიშვილი, რაფიელ და ასლან მახარაძეები, მარო კახაძე და სხვები თავდადებით შრომობდნენ და მტკიცე ბურჯად ედგნენ საკოლმეურნეო ცხოვრებას.

მშვიდობიან შრომაში გადიოდა დღეები, წლები. სოფელი სავსე იყო სწავლასა და შრომაში ქებული ახალგაზრდებით, მაგრამ უეცრად მოვარდნილმა ომის გრიგალმა ნგრევა და მწუხარება მოუტანა მშვიდობისმოყვარე ადამიანებს.

პატარა ციხესულორიდან 400-ზე მეტი რჩეული ვაჟკაცი გაეშურა ვერაგ მტერთან შესარკინებლად. დადუმდა კუთხე, დაცარიელდა სოფელი, დარჩნენ მხოლოდ ბავშვები, მოხუცები და ქალები. ომში წასულთა ნაცვლად ტრაქტორის ხაჭეს მიუსხდნენ კომკავშირელი გოგონები... თამარ ძნელაძე და ფაცია ბოლქვაძე, ანიკო და ანეტა მახარაძეები.

ციხესულორელმა ვაჟკაცებმა ბრძოლის სახელოვანი გზა განვლეს და გამარჯვებულები დაბრუნდნენ სოფელში. 125 ვაჟკაცი კი ველარ დაბრუნდა ციხესულორში.

ჯერ კიდევ სამამულო ომი დამთავრებული არ იყო, როცა გადაწყდა ჭაობების ამოშრობა.

მალარიის ბუდეს ეძახდნენ სოფელს. მისი დიდი ნაწილი ტყე-ბუჩქნარსა და ჭაობს ეკავა. კოლმეურნეები ყანამდე რომ მისულიყვნენ, სამჯერ უნდა გაეტოპათ წელამდე წყალში. გულს აწუხებდა კოღოს წივილი, მალარია ილაჯს უწყვეტდა ხალხს.

1945 წლის ივნისში დაიწყო დამშრობი არხის მშენებლობა. სად იყო მექანიზმები! ყველა სამუშაო ხელით შესრულდა. 5 კილომეტრზე გაიჭრა ორი მეტრი სიღრმისა და 6 მეტრი სიგანის მაგისტრალური არხი.

დაშრა ჭაობი, მოისპო მალარიის ბუდე. კოლმეურნეობამ 200 ჰექტარზე მეტი ნოყიერი ველი შეიძინა. სათესი ფართობების სამი მეოთხედი ნაჭაობარია არტელში.

1950 წელს ორი არტელის ბაზაზე ერთი არტელი ჩამოყალიბდა. ამან თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. განმტკიცდა არტელის ეკონომიკა. გაიზარდა შრომადღის ხვედრი.

სოფელს ერთი რვაწლიანი და ერთიც დაწყებითი სკოლა ემსახურება. ციხესულორელები ამაყობენ თავიანთი აღზრდილებით. აქ 200-მდე უმაღლესი და 400-ზე მეტი საშუალო განათლების მქონეა.

სოფელს ახლა ახალგაზრდები უდგანან სათავეში. დიდია მომავლის გეგმები. ასეც უნდა იყოს, კიდევ უფრო უკეთესი უნდა გახდეს ხალხის ცხოვრება.

ორი ბიბლიოთეკა, კინოდანადგარი, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ელექტროწისქვილები, სახერხი ქარხანა მშრომელთა განკარგულებაშია.

— წელს, განზრახული გვაქვს, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიგლა კანკაძემ, — მნიშვნელოვნად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

— კეთილმოწყობილი გახდა სოფელი, — ამბობს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თინა თვალავაძე. — ბედნიერად ცხოვრობს მშრომელი ხალხი. დავიწყებას მიეცა შუაცეცხლი. კოლმეურნეთა უმრავლესობას ოჯახში უნთია ცისფერი ალი. აქ აღარავის უკვირს ტელევიზორი, პიანინო.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება სოფელი, მას დაამშვენებს კარგი გზები, მგზავრთა მოსაცდელები, ეწერის უბნის მცხოვრებთა ეზოებში ონკანებიდან იჩუხჩუხებს სასმელი წყალი. უახლოეს ხანში საფუძველი ჩაეყრება სასოფლო კლუბის შენობას. სოფლის ცენტრში მოეწყობა შინმოუსვლელთა სტენდი სკვერით. თითოეული მათგანის სახელზე დაირგვება მარადმწვანე მცენარე. თანასოფლელები „გმირთა ხეივანს“ დაარქმევენ მას.

**ქეთევან თვალავაძე**



# კვარხითელი დედის ნებით

ზღაპარს გავს კახეთში გაგონილი ძველი ამბავი: გოგიაურის მთისძირა სოფელში მუნჯი კაცი ცხოვრობდა თურმე. იგი გამრჯე, ბეჯითი და გულმამაცი გლეხი ყოფილა. კარგი ოჯახი შეუქმნია. სოფელში ხელმოუცარავი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ საფრთხეში ჩავარდა საქართველო, ქუდზე კაცი გამოვიდა მამულის დასაცავად, მხოლოდ მუნჯი არავის შეუწუხებია.

რა ბედენაა სიმუნჯეო, გაიფიქრა სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულმა ოჯახის მეთაურმა და თავის დარბაისელ მეუღლეს ხელით ანიშნა, აბჯარი მომიმზადეო. ქალი ბედაურის შეკაზმვაში მოეხმარა და გულმხურვალე ლოცვით გააცილა ქმარი.

ბრძოლის ველზე გავიდა უენო მოხალისე. მხნედ იომა. დიდი შემართება და გმირობა გამოიჩინა. ლაშქართან ერთად გამარჯვებული დაუბრუნდა ავბედობის დღეებში მიტოვებულ სოფელს.

შინმოსული შრომობდა, ხნავდა და თესავდა, პირუტყვს ზრდიდა და ვენახს უვლიდა. გამარჯვების სადღეგრძელოს უხმოდ სვამდა თავის ჭერქვეშ.

იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ მუნჯის ვაჟიშვილები. ოჯახი მომრავლდა და მისი ერთი წევრი სიმონი კახეთის სოფელ კოლაგიდან ტირიფონის ველზე, კვარხითში დასახლდა. ალაზნის დუდუნს გრძნობდა ლიახვის პირას. კოლაგელ და კვარხითელ ძმებს, მათ მოდგმას ქართლსა და კახეთში ამიერიდან მუნჯიშვილებს უწოდებდნენ.

მტრის განუწყვეტელმა შემოსევებმა ქართლ-კახელი სახლიკაცები გაჰყარა და ერთმანეთს ჩამოაცილა. კვიცი მაინც გვარზე ხტოდა. მუნჯიშვილებიც ყოველთვის მუსრავდნენ სამშობლოს მტერს. მათ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროსაც ისახელეს თავი. შორეული წინაპრის მსგავსად კოლაგელი ყმაწვილი შალვა ალექსანდრეს ძე მუნჯიშვილი წავიდა ფრონტზე. თანამოსანგრეებთან ერთად არაქსი გადალახა და საბჭოთა სამშობლოს ზურგი გაუმაგრა ირანის მხრიდან. იომა შავი ზღვის სანაპიროზე. თავი გამოიჩინა ხელჩართულ ბრძოლაში, ათობით ჰიტლერელი გამოასალმა წუთისოფელს. ერთ-ერთი ცხარე შეტაკების დროს მეომარი დაიჭრა და ფაშისტურ ჯურღმულებში აღმოჩნდა. ღონემიხდილი შალვა სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდა, მაგრამ აქაც ღირსეულად ეჭირა თავი. მისი სიმამაცის ამბავი ომის შემდგომ გამოვლინდა, მას დასაბამი მისცა იტალიის გაზეთ „უნიტაში" დაბეჭდილმა ჟურნალისტ გუნდო ვიკარიოს ნარკვევმა, რომელიც ასე მთავრდება: „იგი ქართველია — მუნჯიშვილი. იბრძოდა ვალდი სუზაში, ბუსელენოში — „ვალტერ ფონტანის" ბრიგადაში. მის რაზმს მეთაურობდა ანდრეო კოლეტო. იქნებ ჩვენი მკითხველები დაგვეხმარონ აღვადგინოთ ვითარება ომისდროინდელი კავშირურთიერთობისა, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოფილ თანამებრძოლთა ამხანაგური სიახლოვე."

გუნდო ვიკარიოს ძებნა წარმატებით დაგვირგვინდა და კოლაგელ მებრძოლს მურმანსკში მიაგნეს. იტალიაშიც და იმიერპოლარეთშიც აიშალა მოგონებათა დაუვიწყარი ეპიზოდები: აი, მუნჯიშვილმა მსტოვარი დაატუსაღა ბუსელენოში, მოულოდნელად თავს დაესხა ფაშისტების მწყობრს და გაანადგურა. გზისპირა გამოქვაბულთან კაკანებდა კოლაგელის ავტომატი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა მრავალი ჰიტლერელი. ამიერიდან შალვა რაზმის კომისრად დანიშნეს. მან საჭიროდ სცნო იტალიელი გლეხის ტანსაცმლით გამოწყობილიყო. გზად მიმავალმა ნაცნობთან შეიარა, სახედარი შეაკაზმინა და ეჟვანი შეაბმევინა. სახედარზე ქართველი პარტიზანი იჯდა და თამამად მიერეკებოდა ცხოველს. გზად ორი მთვრალი ოფიცერი შეეყარა.

— ბონ-ჯორნო! — მიესალმა მხედარი იტალიურად და მისკენ მოტრიალებულ გერმანელებს ავტომატის ჯერი შეაგება.

შალვას გმირობამ იტალიელები აღაფრთოვანა გილილდინოში, ბრუზელეში, ბალმაფოლში, სანტა-ანტონიოსა და სივინაში. სივინაში მან 45 ძმადნაფიცთან ერთად ტყვედ ჩაიგდო 168 ფაშისტი ჯარისკაცი.

უკანასკნელ ხანს სალვატორეს (ასე უწოდებდნენ იტალიელები კოლაგელ კომისარს) ამბავმა კვარხითელ ოლია მუნჯიშვილის ყურამდეც მიაღწია და აღელვა შინმოუსვლელი ვაჟკაცის დედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული. მეოთხედი საუკუნეა ელის იგი შვილს — ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მუნჯიშვილს, რომელსაც შინაურებში ალერსით „შალას“ უწოდებდნენ. სამშობლომ გაიმარჯვა, კვარხითელი კოლმეურნე ალექსანდე მუნჯიშვილი კი მისი ხსნის სამსხვერპლოზე დაეცა. დედის გულს მაინც ცოცხალი ჰგონია და ელის შვილს. ხშირად სიზმარში ხედავს. ზოგჯერ თითქოს მისი სუნთქვაც კი ესმის.

— იქნება ის არის, — გულისნადები მეზობელ ქალებს გაუზიარა შავებში გამოწყობილმა ტანდაბალმა დედაკაცმა და შეუდგა ძებნას.

— ის არის, ის! — ფიქრობს ოლია და თბილისში მიმართავს თავის ქალიშვილს მარიამ მუნჯიშვილსა და სიძეს ილია გვენეტაძეს, სთხოვს სასწრაფოდ მოძებნონ სალვატორე, გამოარკვიონ მისი სადაურობა და წარსული.

ნახევარ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა სიძე-ქალიშვილის მიმოწერა შალვა მუნჯიშვილთან. ისინი დიდხანს არ აგებინებდნენ დედას, რომ ყოფილი იტალიელი პარტიზანი კოლაგელი იყო და არა კვარხითელი. „ვითომ შალვა აგრძელებს ალექსანდრეს სიცოცხლეს“. გულში გაივლო ოლიამ და კვარხითში დაპატიჟა სალვატორე. მერე რა, რომ პირმშო არ აღმოჩნდა, ისიც მისი შვილია — ქართველი დედის მახლობელი! შალვას კი დედა არა ჰყავს და განა კვარხითელი ოლია ვერ გაუწევს დედობას?

შალვა მალე ეწვია თავისი გოგონათი. დედაბერი გულში ჩაეკრა ალექსანდრეს მაგიერ ნაპოვნ შალვას. მათ დედაშვილობა შეფიცეს ურთიერთს. მღელვარებამ მოიცვა დედა. აქვითინდა ორდენებით მკერდდამშვენებული სალვატორე. დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავზე დააჯილდოვეს. იტალიის უმაღლესი ჯილდო „გარიბალდის ვარსკვლავი“ ჯერ კიდევ 24 წლის წინათ დაიმსახურა. შარშან იგი რომში პირადად ჩააბარა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ. ნაომარმა ქალაქებმა გმირი მედლებითა და სამახსოვრო საჩუქრებით გამოისტუმრეს. ერთი იქაური საჩუქარი დედობილს მიართვა შალვამ და დასძინა:

— შინმოუსვლელი ძმის, ალექსანდრეს მობრძანებითაც გახარებულიყოს დედის გული!

ოლიამ სალვატორე მუნჯიშვილი ალექსანდრეს მარჯვენით ჩაყრილ ვაზის ხეივანში გაატარა. ამ ყურძნის ნაყურით დაალოცვინა პირმშო. იგრძნო დედის სათუთმა გულმა — იმ წუთში თითქოს შვილობილში გაცოცხლდა ომში წასული ვაჟკაცის დაუვიწყარი სახე, თითქოს ახალაგებული სახლის ჰერი გაახარა შინმოუსვლელის მკვდრეთით აღდგომამ.

შალვა მუნჯიშვილი კვლავ მურმანსკში დაბრუნდა და საიუბილეო წლის ხარაჩოებზე განაგრძობდა შრომას, დედობილ-შვილობილი გულთბილ ბარათებს წერდნენ ერთმანეთს.

— შვილო, იქნებ მოახერხო და გადმოხვიდე საქართველოში, რომ ახლოს გიგულო სიბერის ჟამს, — სთხოვდა დედობილი. შალვამ ეს ნატვრაც შეუსრულა. ამჟამად იგი თბილისის ახალ მშენებლობებზე ტრიალებს და დასვენების დღეებში კვარხითში ჩადის დედობილის გულის გასახარად.

ამით ოლიამ თითქოს უჩინარი ძეგლი დაუდგა სამშობლოს სამსხვერპლოზე დაცემულ ალექსანდრეს, სამარადისოდ აღადგინა ქართლ-კახელი მუნჯიშვილების ასწლობით შეწყვეტილი ნათესაობა.

ჟამთა სიავეში ჩატეხილი ხიდი გაამთელა დარბაისელმა დედაკაცმა.

ი. ჯავახიშვილი

# ღვიძლი მანდილოსანი

არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდები, რომელნიც ადამიანის გულში სამუდამოდ რჩება მზიან მოგონებად. ეს მოგონება თაობიდან თაობაში გადადის საამაყოდ და სასიხარულოდ.

ერთი ასეთი ეპიზოდთაგანია დიდი აკაკის მოგზაურობა რაჭასა და ლეჩხუმში. საბედნიეროდ, ეს მოგზაურობა კინოფირზე აღიბეჭდა და დღეს თითქმის ყოველ ქართველს აქვს საშუალება იხილოს ეს ისტორიული კადრები. მართლაც დიდებული სანახავია: აღფრთოვანებული ქართველობა, რომელსაც აკაკის მოგზაურობა საერთო სახალხო ზეიმად უქცევია, მანდილოსანთა მწკრივები, რომლებიც ყვავილებს უფენენ სათაყვანო მგოსანს... ჩოხა-ახალუხიანი თავმომწონე ვაჟკაცები, რომლებიც აკაკის საამებლად ფერხულს როკავენ... მთლად თეთრებში გამოწყობილი პატარები, ხელს რომ უწვდიან და გულში ეკონებიან დიდ ერისკაცს... დედები, ნორჩებს მაღლა რომ სწევენ, რათა დაანახონ საქართველოზე ფიქრში დაბერებული, უმტვერო, თეთრი თმა-წვერით შემოსილი ღმერთკაცი... ჭაბუკობა, ვინც მის „სულიკოს“ მღერის... ბრგე, ხნიერი ქართველობა, ვისაც მისი „მთაწმინდა“ თვალზე ცრემლსა ჰგვრის... და აი, აკაკის წინ ხნიერი ქალი წარსდგა (სამწუხაროდ, ეს კადრი ფილმს არ შემორჩენია), ეს ტვიშელი, ზეპირად მთქმელი მანდილოსანია — კესარია ალავიძე. მან თრთოლვით, გულში ჩამწვდომი ხმით წაუკითხა აკაკის თავისი ლექსი:

„ორმოცდაათი წელია,
ხელში კალამი გჭერია,
წერ და პოეტობ, გვიგზავნი —
რაც ჩვენთვის სარგებელია.

ვაშა, მგოსანო! მობრძანდით,
გვეღირსა ნახვა თქვენია,
ვარსკვლავს თვალები მიგიგავს,
პირი გაქვს მთვარის ფერია,

მაგ თქვენს ბრწყინვალე
სახეზე
ჰალარა წვერი გფენია,
ნეტავ თუ კიდევ მოგვესწროს
აქ მობრძანება თქვენია!...“

ჩვენ არ ვიცით, რა უთხრა მაშინ აკაკიმ ამ ნიჭიერ ქალს. მაგრამ, არ შეიძლება მის მართლაც მთვარისფერ სახეს ღიმილი არ მოჰფენოდა. ამ ლექსით, თითქოს მთელმა რაჭამ შეჰღაღადა მგოსანს — კვლავ მობრძანდით ჩვენთან, რადგან ჩვენი სისხლი და ხორცი ხართ, ჩვენთვისაც საამაყო და სათაყვანებელიო...

ეს ლექსი ახლაც ინახება ალავიძეების საოჯახო ალბომში, ოჯახი ამაყობს თავისი დიდი დედით. ამ სრულიად უსწავლელმა, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ქალმა მრავალი ლექსი გამოთქვა თურმე. ზნეობრივად სპეტაკი, სათნო და შრომისმოყვარე კესარია ექვს ობოლს ზრდიდა და ცდილობდა უმამობას არ დაეჩაგრა ისინი. დაიზარდნენ ბავშვები. დაიზარდნენ სამშობლოს მოყვარულნი, გამრჯენი. ერთერთი მათგანი — სტეფანე ლეკიშვილი ცნობილი რევოლუციონერი იყო. ძმები სტეფანეს ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს და მხარში ედგნენ სიმართლის დიდ გზაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ისინი პატიოსანი ქართველი მანდილოსნის შვილები იყვნენ.

ნინო ბებენავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეატრის პრინცესა

გერმანიის, შვეიცარიისა და ელზასის გზებზე ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ, საქონლის დამტარებელი ებრაელი ფელიქსი თავისი ექვსი შვილით პარიზში დასახლდა. სიღარიბემ აიძულა მისი ორი უფროსი ქალიშვილი — სარა და ელიზა ქუჩებში იმღერონ და მოწყალება ითხოვონ. ნაქირავები გიტარით ისინი პატარა კონცერტებს მართავენ გამვლელ-გამომვლელებისათვის. ერთხელ ამ კონცერტს მოუსმინა ღარიბთა შვილებისათვის მოწყობილი სკოლის კლასიკური მუსიკის ხელმძღვანელმა ალექსანდრე შორონმა და ელიზა თავის სკოლაში მიიყვანა. შორონი მალე დარწმუნდა, რომ გოგონა დაჯილდოებულია უფრო დეკლამაციის, ვიდრე სიმღერის ნიჭით და იგი მიუყვანა მოხუც მსახიობს, სენ-ოლერს. რომელსაც სენ-მარტენის ქუჩაზე გახსნილი ჰქონდა დრამატიული ხელოვნების უბრალო კურსები.

ელიზა ბეჯითი მოწაფე აღმოჩნდა. იგი ღრმად სწავლობს ყველა როლს, მათ შორის მამაკაცებისასაც, და თავისი უნარით ანცვიფრებს დამრიგებელს. სენ-ოლერი მოელაპარაკა კონსერვატორიის გამოჩენილ პედაგოგს სანსონს, რომელმაც თავის მხრივ კარგად შეამჩნია ცამეტი წლის გოგონას განსაკუთრებული ნიჭი. სანსონმა იგი თავის კლასში ჩარიცხა. დამატებით დაუნიშნა ფრანგული ენის გაკვეთილები, რადგან გოგონამ ხეირიანი კითხვაც არ იცოდა. კონსერვატორიიდან დაბრუნებული ელიზა ბევრს მუშაობს სახლში. „მას მუხლებზე რასინი უდევს, რომელსაც სწავლობს, ხელში კარტოფილი უჭირავს, რომელსაც წვნიანისათვის ასუფთავებსო“ — ამბობდა მადამ სანსონი. ბაზარზე პროდუქტების ყიდვისას ელიზა ყოველთვის ეკონომიას ეწევა, რათა მოლიერის თხზულებანი შეიძინოს. ორი წყვილი წინდა, ერთი კაბა და ქსოვილისაგან შეკერილი ქუდი — აი მთელი მისი გარდერობი.

1837 წელს ბედმა გაუღიმა თექვსმეტი წლის ქალიშვილს: იგი დაიქირავა „ჟიმნაზის“ თეატრის დირექტორმა პიესა „ვანდეიკში“ სათამაშოდ. მაგრამ სცენაზე პირველ გამოსვლას მისთვის დიდი წარმატება არ მოუტანია. მალე სანსონის რეკომენდაციით რაშელი (ეს იყო ელიზას თეატრალური სახელი, რაც მან ის-ის იყო მიიღო) თეატრ „კომედიფრანსეზში“ მიიღეს 4 ათასი ფრანკი წლიური ხელფასით. მან ითამაშა კამილას როლი კორნელის „ჰორაციუსში“ დიდი ტრიუმფით. მეორე დღეს კრიტიკოსი ჟიულ ჟანენი შემდეგს სწერდა: „ჩვენ გვყავს ყველაზე საოცარი და ყველაზე სასწაულებრივი გოგონა, გოგონა, რომელიც ძალდაუტანებლად, სადად და გაუტყულარჩავად ეშვება ძველი ტრაგედიის შიგ შუაგულში და გამოსცემს ალს“. ამ სპექტაკლიდან ორი თვის მანძილზე ათჯერ გაიზარდა თეატრის შემოსავალი და ფელიქსი, რაშელის მამა, მოითხოვს გაუდიდონ ხელფასი მის ქალიშვილს.

რაშელი ულამაზოა, ასეთია საყოველთაო აზრი, მაგრამ იგი ლამაზი ხდება სცენაზე და ამის გამო ბევრ გამარჯვებასაც აღწევს. რაშელით გატაცებულია ცნობილი პოეტი ალფრედ დე მიუსე. მას ბევრი სხვა თაყვანისმცემელიც ჰყავდა, მაგრამ რაშელი, პირველ რიგში, უსაზღვროდ ერთგული იყო თეატრისა, რომელსაც ოცი წელი ემსახურა.

რაშელმა მკვდრეთით აღადგინა ტრაგედია. კრიტიკოსებმა მსახიობ ქალს „მიცვალებულთა ასული“ შეარქვეს, რადგან მას მხოლოდ XVII საუკუნის მწერლები უყვარდა.

ფრანგულ სცენაზე თანდათან მკვიდრდება რაშელის ნიჭთან სავსებით შეუთავსებელი ჟანრი — ყოფითი დრამა. მაგრამ „თეატრის პრინცესა“ აიძულებს პარიზისა და დიდი პროვინციული ქალაქების მაყურებლებს ტაში დაუკრან კორნელსა და რასინს. მისი საუკეთესო როლი იყო რასინის ფედრა. ამ სახის თავისებური გახსნით რაშელმა თავისი გმირი მიუახლოვა ევრიპიდეს ტრაგედიის „იპოლიტის“ გმირ ქალს. რაშელის შემოქმედებაში ანტიკური გმირი ქალების იდეალიზირებული სახეები საოცრად შეერწყა ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემის რეალისტურობას. მისი თამაში განსხვავდებოდა სიმკაცრით, განსაცვიფრებელი ემოციურობით, ფორმათა პლასტიკური სრულყოფილობით. იგი პირველი ფრანგი მსახიობი ქალი იყო, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ექვსი წლის მანძილზე რაშელმა ექვსჯერ გადასერა ლამანში, ინგლისელი და შოტლანდიელი მაყურებლების წინაშე რომ გამოსულიყო. 1852 წელს ფრანგი მსახიობი ქალი მეფური პატივით მიიღო პრუსიის მეფემ, ორი წლის შემდეგ კი მისმა თამაშმა პეტერბურგელი მაყურებელი აღაფრთოვანა. მალე რაშელი ტუბერკულოზით დაავადდა. მიუხედავად ამისა, მან შეადგინა დასი და ამერიკაში გაემგზავრა საგასტროლოდ. აქ მას ავადმყოფობა გაუმწვავდა და ლაჟვარდოვან ნაპირს დაუბრუნდა. 1858 წლის 3 იანვარს რაშელი გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა — ოცდაჩვიდმეტი წლისა.

ჟილეტ ციგლერი,

გაზეთი „იუმანიტე-დიმანში“ (პარიზი).

კატაევი. „თეთრად ფრიალებს აფრა ეული"





მრევლიშვილი. „მგზნებარე მეოცნებე"



გარსია-ლორკა. „სისხლიანი ქორწილი"



შვარცი. „თოვლის დედოფალი"

(ფერწერულ) ფორმაზე, არამედ მის [illegible]ურ შთანაფიქრზეც.

სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებას ი. შტენბერგი უმორჩილებს პიესის საერთო ჟღერადობას, რათა მთელი სისავსით გადმოსცეს ავტორის აზრი, ეპოქის თავისებურება და სცენური ქმნილების მთლიანი გარეგნული წყობა.

ი. შტენბერგს ახასიათებს სასცენო მოედნის ზუსტი დაგეგმვის უნარი, ამით იგი შესაძლებლობას უქმნის რეჟისორს შექმნას სცენაზე საინტერესო სკულპტურული დაჯგუფებანი. დეკორაციების ხატვისას ი. შტენბერგი ყოველთვის ითვალისწინებს მსახიობის ადგილს სცენაზე. დეკორაციების მისეული გადაწყვეტა ეხმარება მსახიობს ინდივიდუალობის გამოვლინებაში.

ერთხელ როგორღაც მხატვარ ქალს ასეთი კითხვა მივეცი:

— ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მსახიობის ინდივიდუალობას შთაეგონებინოს თქვენთვის სახის მხატვრული გადაწყვეტა-მეთქი.

— მარჯანიშვილის თეატრში „მარგარიტა გოტიეს" მხატვრულ გაფორმებაზე ვმუშაობდი, — მითხრა მან, — მარგარიტას, როგორც ცნობილია, ჩვენი დროის დიდი მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებს. მე ისე დამიმორჩილა მისი შთანაფიქრის სიღრმემ, მისმა ინდივიდუალობამ და განუმეორებელმა ქალურმა სინატიფემ, რომ უარი ვთქვი ყველა ფერზე, რასაც შეეძლო ოდნავ მაინც შეესუსტებინა მარგარიტა გოტიესადმი მაყურებელთა ყურადღება. ის, რასაც დეკორაციას ვუწოდებთ, შევცვალეთ მაუდით, რომელიც მოქმედების მიმდინარეობის მიხედვით, მხოლოდ ფერს იცვლიდა. ლურჯი, ყვითელი და ბოლოს, ფინალში თეთრი ფერი, ჩემი აზრით ჰქმნიდა ფონს, რაც ყველაზე უკეთ შეესატყვისებოდა გმირის ღრმად ემოციურ სახეს.

— ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გმირი ქალის ბედი, — უთხრა მხატვარს ვერიკო ანჯაფარიძემ, — თქვენს ხელში იყო და მან გაიმარჯვა.

რაზე მუშაობს ახლა ირინა შტენბერგი?

ამჟამად იგი მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში ახალ სპექტაკლს აფორმებს, გრიბოედოვის სახელობის თეატრისათვის გრიბოედოვის პორტრეტს ხატავს. შემდეგ ნინო ჭავჭავაძის პორტრეტზე იმუშავებს...

ირინა შტენბერგი მაყურებელს უყვარს, სალხი იცნობს მას როგორც უნიჭიერეს მხატვარს, მაგრამ განა ბევრმა იცის, რომ იგი არა მარტო ხატავს, არამედ წერს კიდეც, ლიტერატურაში ცდის ძალებს? მან გააკეთა ამერიკელი მწერლის გოვარ ნემეროვის მოთხრობის ინსცენირება, რომელსაც მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის კოლექტივი ამზადებს დასადგმელად. ეს იქნება სასიამოვნო სიურპრიზი მხატვარი ქალის ნიჭის მრავალრიცხოვანი პატივისმცემლებისათვის.

ინა მამალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განქორწინება იტალიურად

ამ სახელწოდების ფილმმა წარმატებით შემოიარა მსოფლიოს ეკრანები. მასში ნიჭიერად და სარკასტულად არის მხილებული იტალიაში ნამდვილად არსებული „ქორწინების დაურღვევლობის" დებულების ზოგიერთი უაზრობა. ერთ სიცილიელ ბარონს შეუყვარდება თავისი ახალგაზრდა ბიძაშვილი და გადაწყვეტს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, „თავისუფლება" მოიპოვოს. ის ხმას ავრცელებს, თითქოს ცოლი ღალატობს, და როგორც „რქიანი", შეგნებულად ამასხრებინებს თავს მთელ ქალაქს. როცა, მისი აზრით, ქალაქის საზოგადოებრიობა საკმაოდ „მომზადებულია", ის განზრახულ ბოროტმოქმედებას ჩადის. ახლა ბარონს შეუძლია სასამართლოს განუცხადოს, რომ ცოლი საკუთარი ღირსების დასაცავად მოჰკლა. ის იმდენად უმნიშვნელოდ ისჯება, რომ ერთი-ორი წლის შემდეგ ციხიდან გამოდის და ჯვარს იწერს თავის სატრფოზე...

ამ სურათის სიუჟეტი კაცს საზარლად მოეჩვენებოდა, რომ იტალიაში ამგვარი მოვლენები, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი, ბანალურიც არ იყოს. ფილმის სიმართლეს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი, რომლის მიხედვით ქორწინება ირღვევა მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის შემთხვევაში (სიკვდილის მიზეზს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს) და სისხლის სამართლის 587-ე მუხლი, რომელიც „საკუთარი ღირსების დაცვას" ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად სცნობს, მკვლელობის შემთხვევაშიც კი. მაგრამ მკვლელობა „ღირსების დაცვისთვის" ეს მხოლოდ ერთი (თუმცა ყველაზე საძაგელი) ნაყოფია ჩვენი მოძველებული მატრიმონიალური კანონებისა. ეს კანონები ყოველწლიურად მრავალი ტრაგედიის მიზეზი ხდება. და ყოველი ასეთი შემთხვევა თამამად შეიძლება გროტესკული ფილმის სიუჟეტი გახდეს.

მაგალითად, წარმოიდგინეთ ასეთი რამ: რომელიმე იტალიელი ქალი გათხოვდა ფრანგზე ან ამერიკელზე. მაგრამ ქმარმა გადაიყვარა ქალი. კაცი ბრუნდება თავის სამშობლოში და იქ იღებს განქორწინებას. ის კი იღებს, მაგრამ მისი ნაცოლარი, ჩვენში არსებული კანონებით, სამუდამოდ მის ცოლად რჩება!

ან, ვთქვათ, რომელიმე იტალიელი მოქალაქე ცოლმა მიატოვა — სულერთია, კანონიერად თუ უკანონოდ — და ახალი ოჯახი შექმნა. ყველა ის შვილები, რომლებიც შემდგომში შეეძინება, მისი კანონიერი ქმრის შვილებად ჩაითვლებიან, თუმცა იმ ქალს თავისი ნაქმარევი რამდენი წელია თვალითაც არ უნახავს! ამგვარი მამობისგან რომ თავი დაიხსნას, კანონიერმა ქმარმა რთული და ხანგრძლივი სასამართლო საქმე უნდა წამოიწყოს (ცხადია, თავის ხარჯზე).

კიდევ უარესი. ვთქვათ, თქვენი ქმარი ბერად შედგა. სხვა გზა არა გაქვთ: სიკვდილამდე მისი ცოლი უნდა იყოთ. ასევე ცოლიანად ითვლება მამაკაცი, რომლის ცოლიც მონაზვნად აღიკვეცება.

ათეულ ათასობით ადამიანი ეწირება მსხვერპლად ჩვენს მატრიმონიალურ კანონმდებლობას. ვთქვათ, ქმარი და ცოლი ცალ-ცალკე ცხოვრებას გადაწყვეტენ. თუ ცოლქმრის ცხოვრება ერთად არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლება, მათ, დიდი ხათაბალის შემდეგ, დართავენ ხოლმე ამის უფლებას, მაგრამ ეს პროცედურა ძალიან ძვირი ჯდება და, ფაქტიურად, მხოლოდ ქონების გაყოფას ეხება. ამიტომ ამით მხოლოდ მდიდარი ოჯახები არიან დაინტერესებული. უმრავლესობა კი უბრალოდ ცილდება ერთმანეთს — ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. ყოველწლიურად ორმოცი ათასი კაცი და ამდენივე ქალი (ცხადია, ეს ციფრები არაოფიციალურია; ამგვარ ამბებზე, საერთოდ, დუმილს არჩევენ) სხვადასხვა გზებს ირჩევს.

ოდესღაც უკანონო ქორწინება საჯაყ საქმედ ითვლებოდა, ახლა საზოგადოებრივი აზრი „თავისუფალ კავშირს" შემწყნარებლურად ეკიდება. მარტო ესეც კი კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანთა უმრავლესობა ჩვენს საქორწინო კანონმდებლობას აშკარა უაზრობად მიიჩნევს. ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ოჯახები უმეტეს შემთხვევაში ძალიან მტკიცე, მეგობრული და შეკავშირებულია. ალბათ, იმის გამო, რომ მის შესაქმნელად დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდათ.

სიძნელეებს კი ვინ მოთვლის! ცოლიანი კაცისთვის ახალი ოჯახის შექმნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ქალის საქმე სულ სხვანაირადაა: კანონიერ ქმარს უფლება აქვს დევნოს თავისი ცოლი „მრუშობისათვის". მართალია, კანონის მიხედვით, ადიულტერისათვის მოღალატე ქმარიც უნდა დაისაჯოს, მაგრამ ცოლმა მას დანაშაულზე უნდა წაუსწროს და თან მოწმეებიც ჰყავდეს. ხოლო ცოლი რომ პასუხისგებაში მიეცეს, ამისთვის გაცილებით ცოტა რამ არის საჭირო: ზოგიერთ ყოფილ ქმარს პირდაპირ ტერორს ქვეშ ჰყავს თავისი ყოფილი ცოლი და საზოგადოებაში სხვა მამაკაცთან გამოჩენასაც უკრძალავს. არიან ისეთებიც, რომლებიც ნაცოლარს ციხით ემუქრებიან (ქალი შეიძლება ამისთვის ციხეშიც მოხვდეს), შანტაჟს უწყობენ და ფულს ძალავენ.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე „არაოფიციალურ" ოჯახებში დაბადებული ბავშვები. „ნაბუშარის" დაღი მათ მთელ სიცოცხლეს უმწარებს. ამას წინათ კი, აი, რა მოხდა: ერთმა ქალმა ქმარი მიატოვა და სხვას გაჰყვა. ქმარი მას საშველს არ აძლევდა, სდევნიდა, აწამებდა. როცა ეს ქალი გარდაიცვალა, ქმარმა გადაწყვიტა შური ეძია მის ახალ ოჯახზე. მან განაცხადა, კანონით ბავშვი მე მეკუთვნისო, და ღვიძლ მამას ბავშვი წაართვა. ჰოდა, სასამართლომ მისი მხარე დაიჭირა!

ძალიან ბევრი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უთანასწორო მდგომარეობაშია ქალი ჩვენს საზოგადოებაში. საკმარისია ითქვას, რომ ქმრის სიკვდილის შემთხვევაში მამის უფლება და, ამასთან ერთად, ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის უფლება ქმრის რომელიმე ნათესავს ენიჭება. თუ ქმარი გარდაიცვალა და ანდერძი არ დაუტოვებია, ქალს გადასახდელად რჩება მთელი მისი ვალები და ქონების ძალიან უმნიშვნელო ნაწილი.

რა თქმა უნდა, თითქმის შუა საუკუნეებიდან შექმნილი ეს კანონმდებლობა სულს ღაფავს. იტალიელები სულ უფრო ხშირად უვლიან გვერდს თავის სამოქალაქო კოდექსს, არღვევენ კანონებს და მიაჩნიათ, რომ სარგებლობენ „ადამიანის ბუნებრივი უფლებით", რომელსაც ფეხქვეშ თელავს სახელმწიფო.

**ენცო რავი,**
იტალიელი ჟურნალისტი.

# ზაფხულის ნიღბები

სახის კანისთვის ძალზე სასარგებლო და ეფექტურია კოსმეტიკური ნიღბები. შინაურ პირობებში ზოგიერთი მათგანი იოლი დასამზადებელია და ამდენად — ყველა ქალისათვის ხელმისაწვდომი.

ნიღბის გაკეთების წინ სახე უნდა გავისუფთაოთ, შემდეგ გულაღმა დავწვეთ და წინასწარ გამზადებული მასა მთელ სახესა და ყელზე დავიდოთ. თვალების გარშემო დავიფაროთ რომელიმე ზეთში (ზეითუნის, მზესუმზირის, ატმის, ნუშის) დასველებული დოლბანდი. ნიღაბი გავიჩეროთ 15-20 წუთს. მერე სახე და ყელი მოვიბანოთ ნელთბილი წყლით და წავისვათ მკვებავი კრემი (მშრალი კანისთვის: „იანტარი", „ლუქსი", „ვოსტორგი", „სპერმაცეტოვი", „ლანოლინოვი"; ცხიმიანი კანისთვის: „იდეალი", „მოსკოვსკი", „ლოტოსი", „ულიბკა", „ლიმონის").

მშრალი, მოდუნებული კანისთვის ნიღბის შემდეგ რეკომენდებულია ცხელი ან ცივი კომპრესი.

**ხაჭოს ნიღაბი.** 1 სუფრის კოვზ ახალ ხაჭოს დავუმატოთ ნახევარი ჩაის კოვზი ნამდვილი თაფლი. კარგად ავრიოთ და მიღებული მასა 20 წუთით დავიდოთ სახეზე. შემდეგ სახე მოვიბანოთ ნელთბილი წყლით. ნიღბის შემდეგ გავიკეთოთ ცივი საფენი და წავისვათ რომელიმე მკვებავი კრემი.

**მეორენაირად:** 1 სუფრის კოვზი ხაჭო, 1 ჩაის კოვზი ახალი არაჟანი ერთმანეთში ავრიოთ. მიღებული მასა სახეზე დავიდოთ და გავიჩეროთ 20 წუთი. სახე მოვიბანოთ თბილი წყლით. ნიღბის შემდეგ გავიკეთოთ ცივი საფენი და წავისვათ რომელიმე მკვებავი კრემი.

ორივე ნიღაბი რეკომენდებულია მშრალი, მოდუნებული კანისთვის, რომელსაც მიდრეკილება აქვს ლაქებისაკენ.

**ცხიმიანი კანის დროს:** 1 სუფრის კოვზი ხაჭო, 1 ჩაის კოვზი მაწონი ან კეფირი ერთმანეთში ავრიოთ. არაჟნის სისქის მასას რომ მივიღებთ, დავიდოთ სახეზე. გავიჩეროთ 10 წუთი. შემდეგ თბილი წყლით მოვიბანოთ და წავისვათ მკვებავი კრემი, ჯერ კიდევ ნამიან სახეზე.

ხაჭოს ნიღაბი კანს ახალისებს, კვებავს და ტონუსს წევს.

**ზეთის ნიღაბი** (ზეითუნის, ატმის, ნუშის, მზესუმზირის და სხვ.) კარგია იმ შემთხვევაში, როცა ნაოჭები გაჩნდება თვალების ირგვლივ და ტუჩებთან.

ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ზეთს გავათბობთ ორთქლზე, შიგ დავასველებთ ბამბის ტამპონს, შემდეგ ზეთში გაჟღენთილ 1 სმ სისქის ბამბის საფენს დავიდებთ მთელ სახეზე. თვალებთან, ტუჩებთან. ნიღბის ეფექტურობისათვის ზევიდან დავიფარებთ ქსოვილის თბილ ნაჭერს. გავიჩერებთ 15 წუთს. ნიღაბს ქაღალდის ხელსახოცით მოვიშორებთ და ერთი წუთით თბილ, მერე კი ცივ საფენს დავიდებთ. ბოლოს წავისვამთ მკვებავ კრემს.

ამ ნიღბის გაკეთებისას აუცილებელია სახის კუნთების მოდუნება და სიმშვიდე.

**საფუარის ნიღაბი** რეკომენდებულია ყოველნაირი კანისთვის. ვიღებთ 10-15 გრ საფუარს თუ მშრალი კანი გვაქვს, ვხსნით რომელიმე ზეთში (ზეითუნის, მზესუმზირას, ატმის, ნუშის), თუ ნორმალურია —ვხსნით რძეში ან წყალში, ცხიმიანი კანისთვის კი — ზეჟანგის (პერეკისი) ორპროცენტიან ხსნარში.

მიღებულ მასას დავიდებთ სახეზე. გავიჩერებთ 15 წუთს. ნიღაბს მოვიშორებთ თბილი წყლით, შემდეგ შევისხამთ ცივ წყალს, შევიმშრალებთ და ჯერ კიდევ ნამიან სახეზე წავისვამთ მკვებავ კრემს.

განსაკუთრებით სასარგებლოა ხილ-ბოსტნეულის ნიღბები, რომელიც მდიდარია კანისთვის აუცილებელი ვიტამინებით, კარგად კვებავს მას, ათეთრებს, ასუფთავებს და არბილებს.

ხილ-ბოსტნეულის ნიღაბი ყველა კანს უხდება. კანს ამ შემთხვევაშიც წინასწარ ვიწმენდთ. ნიღაბს ვიჩერებთ 20-25 წუთს, შემდეგ ვიბანთ და კრემს ვისვამთ.

ნიღაბი შეიძლება მომზადდეს ხილ-ბოსტნეულის წვენის ან მასისაგან. ნიღაბის მასა უნდა იყოს არაჟნის სისქის, ხილი აუცილებლად ახალი, ოდნავ მწიფე.

ხილ-ბოსტნეულის ნიღაბი შეიძლება კვირაში 3-4 ჯერ გავიკეთოთ.

წლის განმავლობაში შეიძლება სისტემატურად ვისარგებლოთ შემდეგი ნიღბებით: მარწყვის, კიტრის, სტაფილოს, კარტოფილის, კომბოსტოს, ალუჩის, ხურმის, კომშის, ლიმონის, ფორთოხლის, პამიდვრის და სხვ.

**მარწყვის ნიღაბი.** 2-3 ცალი მწიფე მარწყვი დავჭყლიტოთ, მიღებული ფაფისებური მასა სახეზე და ყელზე დავიდოთ. გავიჩეროთ 20 წუთს. სახე მოვიბანოთ ნელთბილი წყლით და წავისვათ მკვებავი კრემი.

მარწყვის ნიღაბი რეკომენდებულია მშრალი კანისათვის. ის მდიდარია ვიტამინით, კვებავს კანს, ასუფთავებს, ათეთრებს და ხელს უწყობს ლაქების გაუფერულებას.

**კიტრის ნიღაბი.** ახალი კიტრის ქერქი, კანი (კანია მთავარი, და ის აუცილებლად ახალი უნდა იყოს, რადგანაც მასში შემავალი სრულფასოვანი ბიოლოგიური ნივთიერება ჩქარა ფუჭდება ჰაერზე) დავიდოთ მთელ სახეზე, ხელები მაგრად დავაჭიროთ და ზევიდან დავიფაროთ დოლბანდით. 20-25 წუთის შემდეგ ნიღაბი მოვიშოროთ და კიტრის წვენი სახის კანზე დავიტოვოთ 5 წუთით. შემდეგ სახე ფრთხილად მოვიწმინდოთ ბამბის სველი ტამპონით და თბილი წყლით მოვიბანოთ. უმჯობესია ცივი საფენის გაკეთება. მერე ოდნავ გადავისვათ მკვებავი კრემი.

კიტრის ნიღაბი მდიდარია ვიტამინებით. ის კანს ახალისებს, არბილებს და ათეთრებს. იხმარება ყოველგვარი კანისათვის.

**სტაფილოს ნიღაბი.** 2 ცალი სტაფილო (ღია-ყვითელი. მუქ-ყვითელმა შეიძლება კანი შეღებოს) სახეხზე გავხეხოთ. გახეხილ სტაფილოს დავუმატოთ კვერცხის გული და რამდენიმე წვეთი ნიგვზის ზეთი (ეს აძლიერებს ნიღბის მკვებავ მოქმედებას და განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მშრალ კანზე). მომზადებული მასა სქლად დავიდოთ სახეზე. გავიჩეროთ 20-25 წუთი. ნიღაბი მოვიშოროთ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით.

სტაფილოს ნიღაბი მდიდარია ვიტამინებით და შესანიშნავი მკვებავია. რეკომენდებულია მშრალი და ნორმალური კანისთვის.

**კარტოფილის ნიღაბი.** 2 ცალი მოხარშული კარტოფილის პიურე, ჯერ კიდევ ნელთბილი, სქლად დავიდოთ სახეზე. გავიჩეროთ 15 წუთი. ჩამოვიბანოთ თბილი წყლით და წავისვათ მკვებავი კრემი.

კარტოფილის ნიღაბი ათეთრებს, არბილებს კანს და იხმარება ყოველგვარი კანის დროს.

ცხიმოვანი, ფორებიანი კანისთვის რეკომენდებულია ხურმის, კომშის, ვაშლის, ალუჩის, ლიმონის ნიღბები.

**ლიმონის ნიღაბი.** 1 ლიმონის გამოწურული წვენი და 1 კვერცხის ცილა ერთმანეთში კარგად გავთქვიფოთ. მიღებული მასა სახეზე დავიდოთ და 5 წუთი გავიჩეროთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოვიბანოთ და წავისვათ ცხიმიანი კანისთვის რომელიმე მკვებავი კრემი.

ზაფხულში, ზღვაზე თუ გვსურს ლამაზად გავირუჯოთ, სახეზე უნდა წავისვათ ვაშლის ან პამიდვრის წვენი და ისე გავჩერდეთ მზეზე.

ზაფხულია, ხილ-ბოსტნეულის ნიღაბი ყველა ქალისთვის ხელმისაწვდომია. ნუ დაიზარებთ მის გაკეთებას.

**მიმი ლოლოზერიძე,**
ექიმი-კოსმეტოლოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანსაცმლის შეღებვა ოჯახში

თუ ტანსაცმელი გაგიხუნდათ, შეგიძლიათ შეღებოთ და პირვანდელი პეწი დაუბრუნოთ. შეღებვის წინ გაფერთხეთ, მოაცილეთ ლაქები (განსაკუთრებით ცხიმის ლაქები, რადგან არ იღებება), მოარღვიეთ სარჩული, ღილები, დუგმები, ელვა-შესაკრავი, შემდეგ კარგად გარეცხეთ და გულმოდგინედ გაავლეთ წყალში, ტანსაცმელს ნუღარ გააშრობთ, სველი უკეთესად იღებება. თუ მომავალში ტანსაცმლის გადაკეთებას აპირებთ, მაშინ შეღებვის წინ ის დაარღვიეთ, რომ ქსოვილი განაკერებშიც შეიღებოს.

ახალი ტანსაცმელი, ქსოვილი და ძაფი შეღებვის წინ აუცილებლად უნდა დავასველოთ.

სხვადასხვა ქსოვილს (შალს, აბრეშუმს, ბამბეულს, სელს) სხვადასხვა საღებავი სჭირდება. ეს საღებავები მაღაზიებში იყიდება და პაკეტებს აწერია, რომელი ქსოვილის შესაღებადაა ის განკუთვნილი.

შესაღებად უმჯობესია გამოიყენოთ მომინანქრებული (ემალის) ჭურჭელი. შესაღები ქსოვილი ან ტანსაცმელი ჭურჭელში ხალვათად უნდა იყოს და ხსნარი მას მთლიანად უნდა ფარავდეს. ხსნარის რაოდენობა კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენს იწონის შესაღები ნაწარმი და რა ფერად უნდა შეიღებოს.

თუ ბაც ან ნახევრად მუქ ტონში გსურთ შეღებვა, ჭურჭელში იმდენი წყალი ჩაასხით, რომ ის ოცდაათჯერ აღემატებოდეს მშრალი ნაწარმის წონას. მაგალითად, თუ ბლუზა 200 გრ იწონის, აიღებთ 6 ლიტრ წყალს.

როცა მუქ ფერად გსურთ შეღებვა, ჭურჭელში ნაწარმის წონაზე 20-ჯერ მეტი წყალი ჩაასხით.

შეღებვის წესი საღებავიან პაკეტსაც აწერია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ პრაქტიკულ რჩევას გთავაზობთ.

შ ა ლ ი ს ნაწარმი ან ქსოვილი რომ უკეთ შეიღებოს, ხსნარში ამატებენ ძმარს ან ძმრის ესენციას (თითოეულ პაკეტ საღებავზე ერთ სუფრის კოვზ ძმრის ესენციას ან ჭიქანახევარ ძმარს).

თუ შესაღები ხსნარი ნელ ცეცხლზე დუღილისას დიდხანს (40-60 წუთს) არ გაბაცდა, მაშინ ნაწარმი ქვაბიდან ამოიღეთ, ხსნარს კიდევ მიუმატეთ ძმრის დოზის ნახევარი, აურიეთ, ისევ ჩადეთ შიგ შესაღები ნაწარმი და ადუღეთ კიდევ 30-40 წუთის განმავლობაში. ხსნარი რომ გაცივდება, შეღებილი ნაწარმი კარგად გაავლეთ ცივ წყალში.

ნახევარშალის ნაწარმის შესაღებად თანაბარი რაოდენობით იღებენ შალისა და ბამბეულის საღებავს. როგორც შალეულის შეღებვისას, ხსნარს აქაც უნდა დაემატოს ძმარი. ადუღებენ ერთი საათის განმავლობაში, შემდეგ ნაწარმს ამოიღებენ, ხსნარს ჩაუმატებენ ნიშადურის სპირტს (თითო ჩაის კოვზი ყოველ 10 ლიტრ წყალზე) და მარილს (1 სუფრის კოვზი 1 პაკეტ საღებავზე). ხსნარს მოურევენ, ნაწარმს ისევ შიგ ჩადებენ და 30-40 წუთით ნელ ცეცხლზე დგამენ. ხსნარი აღარ უნდა ადუღდეს. პროცედურას ისევე ამთავრებენ, როგორც შალეულის შეღებვისას.

ს ე ლ ი ს და ბ ა მ ბ ე უ ლ ი ს ქსოვილები რომ უკეთესად შეიღებოს, ხსნარს მარილს უმატებენ: როცა ღია ტონის მიღება სურთ — 1-2 სუფრის კოვზს 1კგ ნაწარმზე, საშუალო ტონის მისაღებად — 2-3 სუფრის კოვზს, მუქი ტონებისათვის — 3 სუფრის კოვზს, ხოლო შავი ფერის მისაღებად — 3-4 სუფრის კოვზს. გარდა ამისა, ხსნარში ამატებენ საჭმლის სოდას: საშუალო და ღია ტონებისათვის — 15-20 გრ 1 კგ ნაწარმზე, მუქი ტონებისათვის — 20-30 გრამს. შეღებვიდან 20-30 წუთის შემდეგ ხსნარში უმატებენ მარილწყალს (1 სუფრის კოვზს 1 პაკეტზე), წამოადუღებენ. ღია ტონის მისაღებად ადუღებენ 30-40 წუთს, მუქი ტონის მისაღებად — 45-60 წუთს, ხოლო შავი ფერის მისაღებად — 1-$1^1/_2$ საათს. ხსნარის გაცივების შემდეგ ქსოვილს ან ნაწარმს გაავლებენ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში.

ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ს შესაღებად შალის საღებავებს ხმარობენ, ოღონდ ორმაგი რაოდენობით. ხსნარს უმატებენ მარილს (2 სუფრის კოვზს ერთ პაკეტ საღებავზე). როცა ხსნარი 30-40 გრადუსამდე გათბება, იწყებენ შეღებვას და ადუღებენ 40-50 წუთს. ბოლო გავლების დროს წყალში ჩაუმატებენ ძმრის ესენციას (თითო სუფრის კოვზს ყოველ ლიტრ წყალზე). შემდეგ ნაწარმს ცოტა ხნით პირსახოცში გაახვევენ, შეაშრობენ და თეთრ საფენებზე გაშლიან.

ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ბამბეულის საღებავში იღებება. ხსნარს დაუმატებენ საჭმლის სოდას (1 ჩაის კოვზი სოდა ყოველ 3 ლიტრ წყალზე). ხელოვნური აბრეშუმის ნაწარმი $80^0$ ტემპერატურაზე იღებება, ვისკოზური აბრეშუმი და შტაპელი კი ცივ ხსნარში უნდა მოთავსდეს, წამოდუღდეს და 25-30 წუთი იდუღოს. ხსნარის გაცივების შემდეგ ნაწარმს წყალში გაავლებენ, შემდეგ პირსახოცში გაახვევენ და ისე გააშრობენ.

თუ თეთრი აბრეშუმის ან შალის ვარდისფრად შეღებვა გსურთ, ეს ხალხური საშუალება გამოიყენეთ: ერთი მუჭა ცაცხვის ყვავილი მდუღარეში ჩაყარეთ და ხუთი წუთი ადუღეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ნაყენი დოლბანდში გაწურეთ და მასში კაბა ან ქსოვილი იქამდე ადუღეთ, სანამ სასურველ ელფერს არ მიიღებთ.

თუ ძაფის შეღებვა გვსურს, ის შულოებად უნდა დავახვიოთ, შემდეგ შულოები ზონარზე ავაცვათ და ზონრის ბოლოები ჭურჭლის სახელურებს გამოვაბათ. ღებვის პროცესში ზონრის ბოლოებით შულოებს ადვილად ვატრიალებთ და მერე ამოვიღებთ კიდეც. გორგლად დახვეული ძაფის შეღებვა კი არ შეიძლება — აჭრელდება.

კ ა პ რ ო ნ ი ს ნაწარმი სპეციალური საღებავებით უნდა შეიღებოს და ხარშვისას ცოტაოდენი გლიცერინი დაემატოს.

გახსოვდეთ: თუ ფერად ქსოვილს იმავე ფერად ვღებავთ, ის უფრო მუქი ტონის გამოვა, ვიდრე შეღებვამდე. შავი ფერი ყველა ფერს ფარავს, მაგრამ შავად შეღებილ ნაწარმს მაინც დაჰყვება ადრინდელი ელფერი.

ნამდვილი შავი ფერის მისაღებად ყოველ პაკეტ შავ საღებავს უნდა დავუმატოთ მწვანე ან მუქი მწვანე საღებავი –– პაკეტის მესამედი ნაწილი.

ზოგჯერ შენაღები ტანსაცმლის გადაღებვა გვინდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ქსოვილის პირვანდელი ფერი.

ვ. ერმაკოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაიწერეთ ან დაიხსომეთ!

● წვნიანი დაგვიმლაშდა... ჩადეთ ქვაბში კოვზი, რომელზეც შაქრის ნატეხი დევს. როცა შაქარი დნობას დაიწყებს, კოვზი ამოიღეთ. მარილი შაქარს ამოჰყვება. თუ კერძი მაინც მლაშეა, კიდევ გაიმეორეთ.

● ყვავილოვანი კომბოსტო თეთრად რომ მოიხარშოს, ხარშვისას წყალში ჩაუმატეთ ცოტა ლიმონის წვენი ან რამდენიმე ნამცეცი ლიმონის სიმჟავე. კომბოსტო, უმჯობესია მომინანქრებულ ჭურჭელში მოიხარშოს.

● თერმოსში ორი კოვზი ბრინჯი ჩაყარეთ, თბილი წყალი დაასხით, თავი დახურეთ და რამდენჯერმე კარგად შეანჯღრიეთ. ამის შემდეგ თერმოსს ცხელი წყალი გამოავლეთ. ჭურჭელი კრიალს დაიწყებს და უსიამოვნო შმორის სუნიც გაქრება.

● თუ ბრინზა ყველის შენახვა გსურთ, შეახვიეთ ნაჭერში და ზევიდან მარილი მოაყარეთ.

● მუშამბიდან მელნის ლაქის ამოყვანა ასანთით შეიძლება: ლაქა წყლით დაასველეთ და ასანთის თავები წაუსვით. თუ ლაქა მაშინვე არ მოცილდა, მორეცხეთ ჭუჭყიანი ადგილი და კიდევ წაუსვით ასანთი.

● ვარდებს და მიხაკებს რადიომიმღებზე ნუ დადგამთ, რადგან ისინი იმდენად მგრძნობიარენი არიან, რომ მათზე ისეთი უმნიშვნელო რყევაც კი მოქმედებს, როგორც ხმოვანი ტალღებია, და მალე ჭკნებიან.

● სანამ პიჯაკის საყელოს გააუთოვებდეთ, გაწმინდეთ ჯაგრისით, მაგრამ თუ ძალიან ჭუჭყიანია, წაუსვით სპირტის ხსნარი (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე) ან არაყი. გააუთოვეთ უკუღმა პირიდან, თან ზედ რამდენიმე ფენად დაკეცილი ნაჭერი დადეთ და იქამდე აუთოვეთ, სანამ ნაჭერი არ გამშრება.

● ნემსის ყუნწში რომ შალის ძაფი გაუყაროთ, ამისათვის ძაფის წვერს უნდა დაახვიოთ ცოტაოდენი ბამბა, წვრილ ბამბის წვერს რომ ნემსის ყუნწში გაატარებთ, ამას გაჰყვება შალის ძაფიც.

● სარკემ რომ იკრიალოს, გარეცხეთ ლილაგარეული ცივი წყლით.

● შუშის ჭურჭელი წკრიალს დაიწყებს, თუ გარეცხავთ თბილ მარილწყალში.

● ხაოიანი პირსაწმენდი დროთა განმავლობაში უხეშდება და ცუდად ისრუტავს წყალს. ამიტომ ის გარეცხვის შემდეგ უნდა ხარშოთ მარილწყალში და კარგად გაავლოთ. გაუთოვება საჭირო არ არის.

● ხორცის გარეცხვის შემდეგ დარჩენილი წყალი საუკეთესო სასუქია ოთახის ყვავილებისათვის.

● საქონლის ღვიძლი 2-3 საათით გააჩერეთ რძეში და უფრო გემრიელად შეიწვება.

● ხორცს შეწვისას ხშირად დაასხურეთ ცხელი ბულიონი ან ცხელი წყალი, ცივი წყალი რომ დაასხუროთ, ის გაუხეშდება.

## საინტერესო სტრიქონები

### მანქანა გოლიათი

ინგლისის ქალაქ უოტფორდში არის მანქანა, რომელსაც შეუძლია 45 წამში გარეცხოს და დააუთოოს ზეწარი, პირსახოცი ან სუფრა. ეს მანქანა თეთრეულს გაცილებით უკეთ და სუფთად ამუშავებს, ვიდრე ჩვეულებრივი სამრეცხაო აგრეგატი. სამწუხაროდ, ოჯახში ამ ახალი მანქანის გამოყენება შეუძლებელია, მისი გაბარიტის გამო... სიდიდით მანქანა ორთქლმავლის ხელაა, და არც ფასი აქვს პატარა — 85 ათასი დოლარი!

### სასწაულებრივი ხე

კუნძულ იამაიკაზე იზრდება საოცარი ხე. მისი ტანი დაფარულია ლაფნის კანით; რომელიც ნაზ მაქმანს წააგავს. ამ უფასო „ქსოვილიდან“ ადგილობრივი ხელოსნები ამზადებენ არაჩვეულებრივ ლამაზ შარფებს. მოსასხამებს, გადასაფარებლებს, ქამრებს, ნოხებს და სხვა ნივთებს.

### ჩრჩილისმკვლელი სურნელი

არსებობს ოთახის მცენარე „ჭინჭარი“. მისი სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. ეს მცენარე პიტნის მსგავს სურნელს აფრქვევს, რომელიც მაშინვე კლავს ოთახში მოხვედრილ ჩრჩილს.

### მწვანე ფერი

მწვანე ფერი ბევრს უყვარს, მაგრამ საქმე მხოლოდ გემოვნებაში როდია: მედიცინაში დიდი ხანია დადგენილია, რომ ადამიანები, რომლებიც მწვანედ შეღებილ ოთახში ცხოვრობენ, ან მწვანე-მაუდგადაკრულ საწერ მაგიდასთან მუშაობენ, ანდა ამავე ფერის აბაჟურით ან მაგიდის ნათურით მუშაობენ, თავს მშვიდად და დაწყნარებულად გრძნობენ.

დამტკიცებულია, რომ მწვანე ფერი დაბლა წევს თვალის შიგნითა წნევას, ამახვილებს სმენას, ხელს უწყობს სისხლძარღვების სისხლით ნორმალურ ავსებას და ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

გარეკანის პირველ გვერდზე — კურორტი ბიჭვინთა. ფერადი ფოტო გ. ს ე ი რ ა ნ ი ა ნ ი ს ა.
მეოთხე გვერდზე — პლაკატი მხატვარ დ. ზ ა რ ა ფ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 99-50-39, 99-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5, 3.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 2051. უე 02225. ფასი 80 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი

ქ. პატიაშვილი



ორივე გაერთო...

ა. ერაძე



უსიტყვოდ

რ. სანადირაძე



ეს ჩემგან მიიღე...

ა. ერაძე



— აბა თუ მიხვდები რა მოგიტანე?

ქ. პატიაშვილი



უსიტყვოდ

б. 29/142

